ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 103

შაბათი, 18 ივნისი

1877—1905

№ 103

შაბათი, 18 ივნისი

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“.

1905 წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: „ივერიის ბიბლიოთეკა“, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები.**

გაზეთის ფასი: 1 ივნისიდან წლის დამლევამდის 5 მ. 50 კ., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც პრემიის უკვე დარიგებულ პირველ წიგნს მოისურვებს, 50 კაპ. უნდა გამოგზავნოს მის ფასად.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ Редакція газ. „Иверія“.

შაბათს, 18 ივნისს, მეორმოცე დღეს ბაქოს გუბერნატორის ტაინი სოვეტნიკის

თავ. მიხეილ ალექსანდრეს ძის ნაკაშიძის

გარდაცვალებიდან, ქვაშვეთის ეკლესიაში გარდახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი. წირვა დაიწყება დილის ათს საათზე, ხოლო პანაშვიდი 12-ზე. (2—2)

ივნისის 19-ს „ბელ-ვიუს“ ბაღში გაიმართება

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

სეირნობა და ბაზარი

მიიღება შემოწირულება ბაზრისათჳს „საზოგადოების“ კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა).

ახალი წიგნი

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში, აგრეთვე „ივერიის“ რედაქციაშიაც

ნაწერები

პეტრე უმიკაშვილისა

გამოცემა „ცისკარი“-ს ამხანაგობისა.

წიგნში ჩართულია ავტორის სურათი და რამდენიმე ილუსტრაცია.

ფასი 30 კაპ. (30—15)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. ყ. ჩიძოგანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

გ. აშეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ჯ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა,

გ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ხ. ქ. აბიანცი—შინაგან აკადმყ. 7—8 საათ.

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულ გამოკვლევას, 5—7 საათ.

ხ. ტ. არვანიტაკი. 11—1 [illegible] ებს მასსაჟს მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра **Навасардіана.**

ифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 1) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

ვაწაძე სფირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

ჩვენებური „ლიბერალები“

—

იმ ძლიერმა საზოგადოებრივმა მოძრაობამ, რომელმაც ამ უკანასკნელ ხანში იჩინა თავი, თუმცა ჯერ-ჯერობით საბოლოო მიზანს ვერ მიაღწია, მაგრამ მაინც შესამჩნევი გავლენა იქონია არსებულ წესწყობილებასა და ცხოვრებაზე. ზოგიერთი ისეთი ძალა გამოჩნდა, რომელიც წინად არა ჩნდა, და, სამაგიეროდ, ზოგიერთი ისეთი რამ მიიჩრდილა, რომელსაც წინად, მუნჯობის ხანაში, დიდი გასავალი ჰქონდა და თავიც დიდად მოჰქონდა. ამ საგულისხმიერო ცვლილებაში საინტერესოა გავითვალისწინოთ ის ფრიად დამახასიათებელი მდგომარეობა, რომელშიაც იმყოფება დღეს ტფილისის „ლიბერალური“ და „განათლებული წარმომადგენლობა“.

ამას წინად საბჭოს კრებაზე ხმოსნებმა „პროტესტი“ განუცხადეს მუშებს მათი კორპორაციის ბურჟუაზიულ კორპორაციად მიჩნევისათვის და საჯაროდ აღიარეს: „ვიჯმნი ბურჟუობისაგანო“. ეს სასაცილო «პროტესტი» ჰღირს იმად, რომ ამ საგანს ერთხელ კიდევ დავუბრუნდეთ და საბჭოს «არა-ბურჟუა» ლიბერალთა ლიბერალიზმი მკითხველს კონკრეტულის მაგალითით განვუმარტოთ.

მოგეხსენებათ, ნეტარხსენებულ პლევეს რეჟიმის დროს საზოგადოებრივი აზროვნება ისე დახშული იყო ძალმომრეობის მეოხებით, რომ ყოველი, ცოტად თუ ბევრად, თავისუფალი აზრი და ელემენტარულ მოქალაქობრივ უფლებებზე მიხვეულ-მოხვეულად ლაპარაკიც კი შეუმჩნეველი არ რჩებოდა და საზოგადოების ყურადღებას იმსახურებდა. რადიკალურ იდეების მომხრე და მქადაგებელ წრეებს არ შეეძლოთ მწერლობაში თავისი აზრი გამოეთქვათ, რადგან ეს სასტიკად აკრძალული იყო. მაშინ შესაძლებელი იყო მხოლოდ ლიბერალურ ფრაზების წერა და ესეც—დიდის სიფრთხილითა და მორიდებით. მკითხველი, რასაკვირველია, ხედავდა, რომ ამ ფრაზებში აზრის მხრივ ბევრი არა იყო-რა, მაგრამ მწერალსა—და კრებებზე მოლაპარაკესაც—„გარეშე მიზეზებით“ ამართლებდა და ფიქრობდა: „რომ არ უშლიდნენ,—ალბად, ამ ფრაზებში მეტი ღრმა აზრი და გონიერი მოსაზრება იქნებოდაო“. ამიტომაც მაშინ წყალ-წყალა ლიბერალიზმი დიდ პატივში იყო, რადგან იმ წეს-წყობილებაში მხოლოდ ამ მიმართულებას შეეძლო ლეგალურად თავის პრინციპების გამომჟღავნება.

მაგრამ იმ რეჟიმს, რომელსაც სტუსაღოში ჰყავდა მომწყვდეული საზოგადოებრივი აზროვნება, ფაქტიურად გვერდი შეენგრა, სქელ კედლებით შემოზღუდულ საზოგადოებაში ახალი მოწინავე აზრები შეიჭრა და—წინანდელ ლიბერალიზმსაც ხელად საფანელი შემოაკლდა და მაზანდა დაუვარდა. ეს მცირედი ცვლილება,—წერისა და სიტყვის ერთი ციცქნა თავისუფლება—საკმარისი შეიქნა, რომ ლიბერალიზმის ფუტურო გამომჟღავნებულიყო და მისი სიცარიელე ყველასათვის ცხადი გამხდარიყო.

ეს არ არის მარტო თეორიული მოსაზრება. თუ ჩვენის საბჭოს „არა-ბურჟუა“ ხმოსანთა მოქმედებას დააკვირდებით, ნათლად დაინახავთ, თუ რაოდენად მართალია ლიბერალიზმის იდეური სიკოტრე და უშინაარსობა.

იმ საკითხებს, რომლებიც წამოაყენა ამ ბოლო დროს რუსეთის მოძრაობამ, ძალა-უნებურად შეეხო, რასაკვირველია, ჩვენი ქალაქის თვითმართველობაც. ცხოვრებამ პირდაპირ დააყენა საკითხები და ყველა აიძულა, თავისი აზრი პირდაპირ და გარკვეულად გამოეთქვა. იყო, სხვათა შორის, საკითხი შესახებ საარჩევნო უფლებისა მოსალოდნელ ერობასა და კავკასიის საერთო ორგანოში წარმომადგენლების ასარჩევად. ჩვენის პროგრესიულ საბჭოს პროგრესიულმა ხმოსნებმა, რომელნიც დღეს ბურჟუათა ,,არა-ბურჟუა'' წარმომადგენლები არიან, ვერ გაბედეს თავის აზრის დაუფარავად გამოცხადება, რომ ისინი ცენზზე აგებულ საარჩევნო უფლებას ეტრფიან, ე. ი., რომ არჩევნების უფლება თავისსავით შეძლებულთათვის უნდათ და თავიანთ პეტიციაში, გონიერულის მოსაზრებით, სრულიად გვერდი აუარეს ამ საკითხს... ერთ კერძო კრებაზე კი ბ-ნმა ხატისოვმა,—იმ ხატისოვმა, რომელმაც საბჭოს კრებაზე ბურჟუობაზე ,,პროტესტი'' განაცხადა და კრებიდან გავიდა,—ამცნო დამსწრე საზოგადოებას, რომ პრუსიაში სამკეც ცენზიანი არჩევნები სწარმოებსო და, თუმცა მე ჩემს აზრს არ ვამბობ ამ საგანზე, მაგრამ შესაძლებელია, ჩვენშიაც შემოღებულ იქნას ასეთი საარჩევნო წესიო... ასეთი განცხადება, დამეთანხმეთ, საკმაოდ გასაგები და მთქმელის შეხედულების გამომჟღავნებელია...

მეორე მაგალითი, რომელიც ასევე ცხადად ამტკიცებს ჩვენის საბჭოს ლიბერალთა „არა-ბურჟუობას“: ეს არის საკითხი შესახებ ქალაქის საარჩევნო უფლებისა. მთელი ქვეყანა დღეს უფლებების გაფართოებაზე ლაპარაკობს, მაგრამ ჩვენებური ლიბერალები ამ საერთო ლაპარაკმა ვერ გაიტაცა და ამ საგანზე კრინტი-ხმა ვერ დაიძვრევინა. ჩვენ, მაგალითად, სხვადასხვა მიმდინარე ფაქტების გამო, რამდენჯერმე დავბეჭდეთ ამის შესახებ წერილები და ის აზრი გამოვთქვით, რომ, როგორც საზოგადოდ, ისე განსაკუთრებით აქ, ტფილისში, სადაც ქალაქის თვითმართველობის ნიადაგზე ეროვნული ბრძოლა სწარმოებს, საჭიროა დემოკრატიულ საფუძველზე დამყარება არჩევნებისა, საჭიროა პირდაპირი, საყოველთაო, თანასწორ და ფარულ საარჩევნო უფლების დაწესება. ჩვენებურ ლიბერალებში არ გამოჩნდა არც ერთი კაცი, რომელსაც ამ დემოკრატიულ მოთხოვნილებისათვის პრესაში ან სადმე სხვაგან მხარი დაეჭირა და ამგვარად თავისი არა-ბურჟუობა საქმით დაემტკიცებინა.

რასაკვირველია, ეს არც მოსალოდნელი იყო მათგან და ჩვენ აღვნიშნეთ ეს ფაქტი მხოლოდ იმიტომ, რომ ბურჟუობაზე „პროტესტის“ გამომცხადებელ ხმოსნების მიმართულება მკითხველისთვის გაგვეხსენებინა. ჩვენის საბჭოს ხმოსნებს ყოველთვის აღელვებს ამ საკითხის აღძვრა და მოქალაქეთა წარმომადგენლობაზე მსჯელობის გამართვა. არა თუ დემოკრატიულ საარჩევნო უფლების მოთხოვნა,—მათ ძილს უფრთხობს და მოსვენებას არ აძლევს ისეთი პროექტიც კი, როგორიცაა ბ-ნ ესაძის მიერ წარდგენილი საარჩევნო გეგმა, რომელშიაც რადიკალ-დემოკრატიული სრულიად არა არის-რა. ბ-ნი ესაძე არსებულ ცენზის საფუძველზე ეროვნებათა პროპორციონალურ წარმომადგენლობას თხოულობს ტფილისის თვითმართველობაში. იმ ჯგუფს, რომელიც ახლა გაბატონებულია ტფილისის საბჭოში, ეს პროექტიც კი აფრთხობს და აღელვებს. გუშინ-წინ ამ პროექტის განხილვამ დიდი ჩოჩქოლი და აღელვებული ლაპარაკი გამოიწვია ხმოსნებში. საკითხი მაინც არ გადაწყვეტილა,—ხსენებული წინადადება ცალკე კომისიას გადასცეს განსახილველად...

პრესაშიაც ჩანს, რომ ამ საგანზე ლაპარაკს ჩვენებური მსუქანი ლიბერალები გულგრილად ვერ ისმენენ. „ახალ მიმოხილვაში“, მაგალითად, დაბეჭდილია წერილი ვიღაც „ერი“-სა, რომელშიაც ავტორი აღარა ჰფარავს, რომ საარჩევნო საკითხის აღძვრა ტფილისში ღელვარების გამომწვევია. რა საჭიროაო, — სწერს ეს ლიბერალი, — არჩევნებზე და სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლობაზე ვილაპარაკოთ,—განა ტფილისის ახლანდელ წარმომადგენელთა კორპორაციას პირველი ადგილი არ უჭირავს თავისი ინტელიგენტობითაო?! სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: ტფილისის ბურჟუა-ლიბერალი ეუბნება ქალაქის მცხოვრებლებს,—მე და ჩემი მეგობრები ფულიან-დიპლომიანი ხალხი ვართ და თქვენის საქმეების მართვა-გამგეობის უფლებაც ჩვენ უნდა გვქონდესო...

ეს ტიპიური პასუხი და მისწრაფებაა ლიბერალისა...

ღირს გაჩუმება?

—

გრაფი უვაროვი ამას წინად იწერებოდა: „ყოველი ნამდვილი რუსი ვალდებულია ახლა ხელი აიღოს ბიუროკრატიის კიცხვაზე და ამ მდგომარეობიდან როგორმე თავის დაღწევას ეცადოსო“.

შემცდარია! შემცდარია იმიტომ, რომ დღესაც კიდევ არა ტყდება ბიუროკრატია, დღესაც კიდევ თავის ნებაზე, სხვის დაუკითხავად, მოქმედობს და ათასნაირ კომიტეტებსა და კომისიებსაც აწყობს იმავე ჩინოვნიკებისაგან, რომელთაც დაღუპეს რუსეთი. ყველა საქმე დღესაც ამავე ჩინოვნიკების ხელშია. თვით ხალხის წარმომადგენლობის შესახებ პროექტებს საიდუმლოდ ირკვევენ,—საჭიროდ არა სთვლიან ხალხს გააგებინონ ეს პროექტები.

ბიუროკრატია, — დაბრმავებული, — თვალხილულთა მაგიერ მოქმედობს, კიდევ ბედავს გამგედ დარჩენას და ახალ სირცხვილს, ახალს დამცირებას, ახალ დამასუსტებელ მარცხს ამზადებს რუსეთისათვის.

არა, ამის ატანა არ შეიძლება! გლეხთა განთავისუფლების საქმისთვის მთავრობა ალექსანდრე მეორეს დროს ემზადებოდა საჯაროდ და ამ რეფორმამ ბევრი სარგებლობა მოუტანა საზოგადოებას. აგრეთვე საჯაროდ არკვევდნენ სასამართლოს და საერობო რეფორმას...

ის რეფორმები შემოვიდა რუსეთში მას შემდეგ, რაც რუსეთის ჯარი დამარცხდა ყირიმში. ახლანდელი დამარცხება კი იმასთან შესადარებელიც არ არის. მაშინ სამი ძლიერი სახელმწიფო სევასტოპოლთან ებრძოდა რუსეთს, იმ დროს არ იყო გზები, მიმოსვლა გაძნელებული იყო და დამარცხებაც არ მოხდა ერთბაშად... ახლა კი...

რას ჰფიქრობს ბიუროკრატია, რომ ეპოტინება თავის ბატონობას და არ უნდა ხალხის კანონიერ მოთხოვნილებას დაუთმოს ახლავე? მომავალი ისტორიკოსი ზიზღით მოიხსენიებს იმათ, ვინც ასეთ დროში მხოლოდ თავის თავზე ფიქრობდა და ახშობდა ხალხის გამოფხიზლებას, ბოროტ მოქმედებად აცხადებდა ხალხის თავისუფლებას.

არ უნდა დათმობა! ერთ რასმე რომ უთმობს საზოგადოებას, იმავე დროს მეორე ადგილას ავიწროვებს მას და უნდა, რომ ხალხმა ნდობით შეხედოს და დაუჯეროს! აცხადებს, საყოველთაო სწავლება უნდა შემოვიდესო რუსეთში და ამავე დროს უნდა გააძვიროს გიმნაზიებსა და უნივერსიტეტებში სწავლის გადასახადი. ამ გადასახადის მომატება საჭირო არისო სახალხო სასწავლებლების გასამრავლებლად. ზღვის უფსკრულში ასოთხმოცდა-ათ მილიონად ღირებულ ფლოტის ჩაგდება—არაფერია, სწავლა განათლებისთვის რამდენისამე მილიონის შოვნა კი არ შეიძლებაო. კორეაში აბაზასი, ბალაშოვისა და ბეზობრაზოვის და მათ ზურგს უკან მდგომთა კონცესიებზე მილიარდის გადაყრა—ადვილია, სახალხო სასწავლებლების გამრავლება კი—ძნელია, არ შეიძლება!? ოჰ, ეს ბიუროკრატია, თვალთმაქცი, გაკერპებული! და ასეთი ბიუროკრატია უნდა დავივიწყოთ, არ უნდა ვიფიქროთ მაზე, მხოლოდ რუსეთის გადარჩენაზე უნდა ვიტკინოთ გული?!..არა, არ შეიძლება! არ შეიძლება იმიტომ, რომ მათრახების ხმა და ხალხის საშინელი კვნესა და გმინვა არ აწუხებს ჩინოვნიკებს, რომელიც წელში ამართულია, რომელიც გაურბის იაპონელებს და ჯავრს იყრის ქვეშევრდომებზე.!. იმიტომ, რომ ჯერ კიდევ ძლიერნი არიან ბიუროკრატიის ტორკვემადები, სისხლის მწოველი ალბები! ხალხი არ არისო მომზადებული და ეს ბიუროკრატია კი მომზადებული ყოფილა თურმე!? არა, ათასი მოუმზადებელიც რომ იყოს ხალხი, ამდენ უბედურებას თავზე მაინც არ დაიტეხავდა...

ვისთვის არის საჭირო უკონტროლობა, პასუხის უგებლობა?.. მხოლოდ ავაზაკისთვის, იმისთვის, ვინც სცდილობს სახელმწიფოს გაქურდვას... სამშობლოს მოსიყვარულე ადამიანს სინათლისა არ ეშინია, არ ეშინია პასუხის-გებისა, ვინაიდან მისი მისწრაფება და მიზანი წმინდაა...

დაანებეთ თავი ბიუროკრატიასო?—იგი რომ თვითონ თავს არ გვანებებს, თავისუფლად ამოსუნთქვის საშუალებას არ გვაძლევს, ამ დამარცხების დროსაც კი, როდესაც რუსეთი უკანასკნელ სახელმწიფოდ შეიქნა, როდესაც ყველა მის დამარცხებით არის გახარებული?!

ბიუროკრატიამ თავის პრივილეგიად გამოაცხადა „პატრიოტობა“ და გახრწნა ხალხი, გახრწნა საზოგადოება. ბერლინსა, ვენასა, პარიზსა და ლონდონში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იმ გარემოებამ, რომ პეტერბურგში ფლოტის განადგურების ამბავზე აფიცრებმა წარპიცარ შეიხარეს, ქეიფობდნენ უდარდელად, მეზღვაურები ცეკვაობდნენ კეკ-უოკს და რუსეთის დედა-ქალაქს არაფრით არ შეუცვლია თავისი ცხოვრების ჩვეულებრივი მსვლელობა.

შევადაროთ ამას იაპონია,—თავისუფალი ქვეყანა, თვითმართველობის პატრონი, ქვეყანა, სადაც ხალხი და მთავრობა შეკავშირებულ ერთეულს წარმოადგენს, სადაც ხალხი სახელმწიფო საქმეებს თვითონვე განაგებს, გავიხსენოთ იაპონია, სადაც არ არის ბიუროკრატია, სადაც ხალხი ამ ბიუროკრატიის ყურმოჭრილ მონად არ არის გადაქცეული.

იაპონიაში ყოველ მცირეოდენ მარცხსაც ხალხში გლოვა გამოუწვევია იმიტომ, რომ იქ ხალხი ამ მარცხს თავის საკუთარ დამარცხებად სთვლიდა, რუსეთში კი ბიუროკრატიის აპეკუნობამ გახრწნა ხალხი, გადაიმტერა საზოგადოება, იმნაირი მდგომარეობა შექმნა, რომ ხალხს უხარია ბიუროკრატიის დამარცხება, ბიუროკრატიის ჯავრი ხალხს არ აწუხებს.

წინად ხალხის გულგრილობა უხაროდა ბიუროკრატიას. „რაც უნდა ჩავიდინოთ, ხალხი მაინც არაფერს იტყვისო“,—გაიძახოდნენ პლევე და სიპიაგინი.

მაგრამ ახლა დრო შეიცვალა. ოდესღაც ძლიერი რუსეთი დამარცხდა, მიწასთან გასწორდა და ხალხი... ახლაც გულგრილად უყურებს საქმეს.

და ვიცით, რომ ეს გულგრილობა ახლაც სასიამოვნოა ბიუროკრატიის წარმომადგენელთათვის, რომელთაც ეშინიათ, რომ ხალხი გამოფხიზლდება, აღდგება გულმოსული და ანგარიშს მოსთხოვს ბიუროკრატიას.

ეს დროც ახლოა! აგერ, გლოვის ზარი მოისმის სადღაც, ხალხის გულიდან ახალი ხმები ამოდის, მუდმივ კვნესას, უაზრო ჩივილს ბანს აძლევენ ახალი ხმები, წარმტაცი ხმები (რ. ს.).

ვას. ნემიროვიჩ-დანჩენკო.

* * *

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

16 ივნისი.

ხარკოვი, 16 ივნისი. გუბერნიის საერობო გამგეობის თავმჯდომარემ სახალხო წარმომადგენლობის პროექტი შეიმუშავა. პროექტი საყოველთაო, თანასწორ და ფარულ კენჭის ყრის პრინციპებზეა დამყარებული. არჩევანი უნდა მოხდეს ეროვნების და სარწმუნოების განურჩევლად. დღეს ამ პროექტს განიხილავენ.

ბელოსტოკი, 16 ივნისი. მექარხნე მორეინის სიკვდილმა მთელი ქალაქი აღელვა. ხულიგნების და და ანარქისტების მოსისხლობად მუშებში დიდი აგიტაციაა.

ვილნა, 16 ივნისი. გუშინ ალექსანდრეს ბულვარზე ვიღაც ბოროტ-გამზრახველმა ერთი პოლიციელი მოჰკლა და ერთიც დასჭრა. მკვლელი დაიჭირეს.

პენანგი, 16 ივნისი. ჩინეთის უმთავრესმა ვაჭრებმა გადასწყვიტეს, აღარ შემოიტანონ ამერიკული საქონელი, სანამ ჩინელებს ამერიკის ტერიტორიაზე ნებას არ მისცემენ.

ნიკოლაევი, 15 ივნისი. პოლიცმეისტერ ივანოვს ყუმბარა ესროლეს. ოთხი კაცი დაშავდა: ყუმბარის გადამგდები, მუშა საფონოვი, დაიჭირეს.

თავრიზი, 12 ივნისი. დღეს 5 საათზე და 33 წუთზე მიწა იძრა. მიწის ძვრა 40 წამი გაგრძელდა.

კოპენჰაგენი, 16 ივნისი. აღმოსავლეთ აზიის კომპანიამ დეპეშა მიიღო, ბატავიაში რუსის კრეისერის „ტერეკ“-ის მიერ დაღუპულ გემის კაპიტანი და ეკიპაჟი მოვიდნენო.

სუჯა, 16 ივნისი. მასლოვკაში ქვეულინს ბოსელს და თივას ცეცხლი წაუკიდეს. ქვეულინს მასში სამეურნეო იარაღი გადაუწვეს.

რომნი, 16 ივნისი. დონელების ერთი ასეული კორჟევის ოლქში გაიგზავნა.

ვიაზნიკი, 16 ივნისი. დღეს დემიდოვის ქარხანაში შვიდასი მუშა გაიფიცა, გაფიცულები ჯამაგირის მომატებას თხოულობენ.

პეტერბურგი, 16 ივნისი. გავანის ქუჩაზე უცნობმა პირებმა პოლიციის უბნის ზედამხედველი კოგოლიბი მოჰკლეს.

პეტერბურგი, 16 ივნისი. ოფიციალური. „პრავიტელსტვენი ვესტნიკი“ აცხადებს: ვაშინგტონიდან „ცენტრალ-ნიუსის“ კორესპონდენტის მიერ გამოცემული ცნობა მოლაპარაკების შეწყვეტის შესახებ, სიმართლეს მოკლებულია. შეერთებულ შტატების არც ერთი ცნობა რუსეთს უპასუხოდ არ დაუტოვებია. თუმცა გარეშე საქმეთა მინისტრი დამშვიდებული ავად იყო, საქმეს მაინც თავი არ დაანება და მოლაპარაკება წესიერად განაგრძო. იმ გაზეთებს, რომლებმაც ზემოდ აღნიშნული ცნობები მოათავსეს, ვთხოვთ ეს განცხადებაც გადაბეჭდონ“.—შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულება:

„რუსკოე სლოვოს“-ს მავნე მიმართულების გამო, რომელიც, სხვათა შორის, წერილებში: „კავშირთა კავშირი“, „დამშვიდება და ამოხოცვა“-შიაც გამოიხატა, პირველი გაფრთხილება გამოეცხადოს და ცალკე ნომრების გაყიდვა აეკრძალოს.

სოსნოვიცი, 16 ივნისი. მუშათა გაფიცვა დაიწყო.

რომნი, 16 ივნისი. როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, ხარკოვში მუშები მუშაობას თავს ანებებენ და ათი წლის განმავლობაში დაჭერილ ჯარიმების უკან დაბრუნებას თხოულობენ.

ვარშავა, 16 ივნისი. ლილპოპ რაუს ქარხანაში მუშებმა გაფიცვას ჩუმად კენჭი უყარეს. 897 მუშიდან 850 მუშა გაფიცვის წინააღმდეგი აღმოჩნდა.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან)

16 ივნისი

გუნჯულინი, 15 ივნისი. სამხედრო მოქმედება ჯერ არ დაწყებულა. წვიმა ხანდისხან მოდის. გზები მალე შრება. ჯარში ცვლილება არ არის.

მოჯი, 15 ივნისი. გენერალ ლინევიჩის აზრით, კუროპატკინისაგან არჩეული მოსაგერებელი ადგილი ძალიან პატარა იყო, ამიტომ ლინევიჩმა თავისი ჯარი ძალიან დიდ მანძილზე გაშალა. მოწინავე რაზმები იაპონელების ჯარებს ხშირად ჰხვდებიან ხოლმე.

(ღამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

სალდათის წერილი. „ვეჩ. პოჩ.“-ში დაბეჭდილია ერთი საინტერესო წერილი ნახევრად განათლებულ სალდათისა. სალდათი იწერება: „ჩვენი უკან დახევა მუკდენიდან ნამდვილი სამარცხვინო გამოქცევა იყო ბრძოლის ველიდან. ტელინში ხუთის დღის გამავლობაში დღედაღამე მოდიოდა ჩვენი ჯარი, მაგრამ უნდა გენახათ, რასა ჰგავდა: თითქო ცხვრის ფარა დამფრთხალა და უმწყემსოდ გაფანტულაო. დროშები ორსა და სამ კაცს მოჰქონდათ. ჩვენ ვეკითხებოდით, სად არიან თქვენი პოლკებიო; ისინი პირდაპირ ამბობდნენ, რა ვიცით, სად არიან. უფროსები გვეუყვიროდნენ, არიქა, ბიჭებო, თავს უშველეთო, და ჩვენც დავიფანტეთ. მეზარბაზნენი ცხენებზე სხდებოდნენ, ზარბაზნებს სტოვებდნენ და მიჰქროდნენ.

ახლა წითელ ჯვრის ამბავიც იკითხე. როცა ამ სახელს ახსენებენ, ჩვენ, სალდათები, ბრაზით ვულზე ვსკდებით. მთელის მანჯურიის დუქნები სავსეა წითელ ჯვრის საქონლით, იმ საქონლით, რომელიც რუსეთიდან ჩვენ, სალდათებს, გამოგვიგზავნეს. ეხლა კი ამავე საქონელში, ჩვენსავე საკუთრებაში, სალდათები ერთი-სამად აძლევენ. მანდაურებს ჰგონიათ, ვითომ იმათის შრომის ოფლით მორწყული საჩუქარი სალდათს მიუვა, ნამდვილად კი ეს აუარებელი საქონელი სულ უფროსების დიდ ჯიბეში ჩადის. უნდა იცოდე, როგორ იქცევიან ინტენდანტები! ტელინში რომ ამოველით, ცხენებისთვის თივის ძებნა დავიწყეთ. მეორე დღეს ტელინიდან ისევ ჩრდილოეთისკენ უნდა წავსულვიყავით. ბრძანება გასცეს, ყველაფერი დასწვითო, და მართლაც ყველაფერს ცეცხლი მოუკიდეს. ერთ დიდ ძირს თივას აფიცერმა სამის მხრით ცეცხლი მოუკიდა. ჩვენ მეოთხე მხრიდან მივარდით და გვინდოდა ცოტა თივა გადაგვერჩინა დამშეულ ცხენებისთვის, მაგრამ აფიცერმა არ მიგვიშვა, ბრძანება მოვიდა, უნდა დავწვაო, და მართლაც ისე დასწვა, რომ ერთი ცხენის სამყოფიც არავის დაანება.

სანამ რუსეთში ვიყავი, არ მჯეროდა, რომ ბრძოლის ველზე ასეთი ამბები ხდებოდა, ეხლა კი ყველაფერი გამართლდა და მეც დავრწმუნდი, რომ რუსეთში სიმართლის ნატამალიც არ არის. სიმართლე მდიდრებმა ჩაიდეს ჯიბეში. რათ, რისთვის? იმიტომ, რომ ის მდიდარია, ჩვენ, ღარიბები კი ყველგან ვტყუით. რათა? იმიტომ, რომ ღარიბები ვართ. მაგრამ არა გვიშავს-რა: ჩვენი დროც მოვა და მაშინ ვნახავთ, ვინ სტყუის და ამბობს სიმართლეს (ნ. ქ.).

ახალი გემები. ამჟამად რუსეთი გაჩქარებით აშენებს სამ კრეისერს, თითო 7,200 ტონიანს, რომელნიც სავსებით ემგვანებიან პორტ-ატურში ჩაძირულ კრეისერს „ბაიან“-ს (ეს კრეისერი იაპონელებმა ამოიღეს და შინ წაიღეს). კრეისერებს ერქმევათ: „ადმირალ მაკაროვ“, „ბაიან“ და „პალადა“ (რ. ს.).

ტყვე რუსები. „დეილი ტელეგრაფ“-ს ტოკიოდან დეპეშით ატყობინებენ: რუს ტყვეებს განუწყვეტლივ ჩხუბი მოსდით. ებრაელები, პოლონელები, ფინები და სხვანი რუსებს ეჩხუბებიან. იაპონელებმა მოჩხუბარნი ერთმანეთს დააშორეს: რუსები ცალკე არიან, ებრაელები—ცალკე, ფინები ცალკე და პოლონელები—ცალკე. ტყვე რუსებს თავიანთი გაზეთიც აქვთ. უკანასკნელ ნომერში მოთავსებულია ერთი წერილი, რომლის ავტორს არა სჯერა, რომ რუსეთის ესკადრა განადგურდა (რ. ს.)

მანჯურიაში. სამხედრო საქმის კარგი მცოდნე, პოლკოვნიკი გედკე, ასე ანგარიშობს რუსებისა და იაპონელთა ჯარის რაოდენობას ბრძოლის ველზე: რუსებს, სულ ცოტა რომ ვიანგარიშოთ, 380—400 ათასი კაცი ეყოლებათ. იაპონელებს ჰყავთ არა უმეტეს 410 ათასისა, ე. ი. თითქმის იმდენი, რამდენიც ლინევიჩს ჰყავს. გენ. ხასეგავას ჯარი ანგარიშში არ არის ჩასაგდები, რადგან იმის წინააღმდეგ ვლადივოსტოკის რაზმი იბრძვის. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ რუსებს სუნგარსა და ხარბინშიაც საკმაოდ დიდი ჯარი ჰყავთ, გამოვა, რომ მარშალ ოიამას, თუ ნაკლები ჯარი არა, მეტი მაინც არა ჰყავს გენ. ლინევიჩზე.

ამისდა მიუხედავად, გედკე მაინც ურჩევს გენ. ლინევიჩს, ისევ ისა სჯობია, რომ უკან დაიწიოთ და მდინარე სუნგარზე შეებათ იაპონელებსაო. (ნ. დ.).

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

მოსკოვი, 17 ივნისი. ქალაქების წარმომადგენელთა კრება დღეს დასრულდა. გადასწყვიტეს, შეუერთდნენ საერობო ორგანიზაციას და ივლისის პირველ რიცხვებში საერთო კრება გამართონ.

კრებას ბაქოსა და ფოთის წარმომადგენელნიც დაესწრნენ.

ახალი ამბავი

გუშინ, 17 ივნისს, სასტუმრო „სვეტის“ წინ **„პატრიოტულ საზოგადოების“** მუშებმა თავიანთი მოკლულ ამხანაგების **მკვლელები შეიპყრეს** და ისე სცემეს, რომ ერთი სიკვდილის პირზეა.

◆ ხუთშაბათს, 16 ივნისს, ღამის 11 საათზე, როდესაც პოლიცმეისტერი ნაძალადევში ეტლით მიდიოდა, კაზაკებით გარშემორტყმული, **ერთის დუქნიდან 8 კაცი გამოვარდა და სროლა ასტეხეს**. კაზაკები გამოუდგნენ და სამი შეიპყრეს, დანარჩენები ხევში მიიმალნენ.

◆ გაზეთ „რუსსკოე სლოვოს“ დონის როსტოვიდან **დეპეშით ატყობინებენ**: „პოლიციამ აღმოაჩინა აუარებელი იარაღი და ტყვია-წამალი, რომელიც კავკასიაში უნდა გაეგზავნათო“.

◆ დღეს ქუთაისსა და ბათომს გაემგზავრება სამოსამართლო პალატის **სესსია, რომელმაც პოლიტიკური საქმეები უნდა განიხილოს**.

◆ ბაქოს ქალაქის გამგეობის ზოგმა მოსამსახურეთაგანმა გამგეობაში განცხადება შეიტანა, **წითელის ჯვარის სასარგებლოდ ჩვენი ჯამაგირიდან პროცენტებს** ნუღარ დაგვიჭერთ და უკვე გამორიცხულის თანხის ანგარიშიც მოგვეცითო (ბაქო).

◆ როგორც ვიცით, **კავკასიაში წმ. ნინოს სახელობაზე არსებული სასწავლებლები** კავკასიის ნამესტნიკის გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის დიდი-დედის დაარსებულია. ყველა ეს სასწავლებლები ადგილობრივ საქველმოქმედო საზოგადოების მზრუნველობაშია, თუმცა პეტერბურგის წმ. ნინოს სასწავლებლის საქველმოქმედო საზოგადოებას ექვემდებარება, რომლის თავმჯდომარედ ნამესტნიკის მეუღლე ითვლება. სწავლა-აღზრდის მხრივ ეს სასწავლებლები სახალხო განათლების სამინისტროს ექვემდებარება. ახლა, როგორც ისმის, ამ სასწავლებლებს სამინისტროდან სრულებით გამოაცალკევებენ და მისს მთავარ გამგეობასაც პეტერბურგიდან ტფილისში გადმოიტანენ და ადგილობრივს საქველმოქმედო საზოგადოებას დაუქვემდებარებენ. სწავლა-აღზრდის საქმეშიაც ცვლილების მოხდენას აპირობენ (კასპი).

◆ ამ დღეებში ტფილისში **ჩამოვა დიდი მთავარი ნიკოლოზ მიხეილის ძე**, რომელიც ნამესტნიკთან ერთად, 28 ივნისს, გაემგზავრება დ. აბასთუმანს. დიდი მთავარი მთელ ზაფხულს ლიკანში დარჩება. ნამესტნიკი კი კისლოვოდსკს გაემგზავრება.

◆ ტფილისში **ჩამოვიდა საპოლიციო ნაწილის უფროსი ბ-ნი შირინკინი**.

◆ დიდუბის ტაძრის წინამძღვარმა დეკანოზმა თალაკვაძემ ქართლ-კახეთის სამრევლო სკოლების **საეპარქიო საბჭოში** პროტესტი განაცხადა იმის გამო, რომ მის-მიერ დასახელებული მასწავლებელი დიდუბის სკოლისათვის არ დაამტკიცეს, რადგანაც საბჭოს თავისი კანდიდატი ჰყოლია — რუსის ქალი.

◆ გაზეთ „ნოვოე ობოზ.“-ს სიტყვით—**ი. რაკისა და რკინის გზის სახელოსნოების მეფეჩის სეჩენოვის მოკვლისა გამო**, რომელსაც ორი შვილი შორეულ აღმოსავლეთში, ბრძოლის ველზე, აფიცრებადა ჰყავს,—თითქმის ყველა რუსმა და ზოგმა ქართველმა მუშამ მუშაობას თავი გაანება და ითხოვეს, ვიდრე ადმინისტრაცია ყველა ბოროტ-გამზრახველებსა და მკვლელებს არ დაიჭერს, აღარ, ვიმუშავებთო. სახელოსნოებს ჯარის კაცნი სდარაჯობენ.

◆ 15 ივნისს სამოსამართლო პალატამ **გაარჩია საქმე შუტოვისა, გოგიასი და ავსტრიის ქვეშევრდომის რაუსალისა**, რომელთაც აწ არსებულ სახელმწიფო წესწყობილების საწინააღმდეგო მოქმედება ბრალდებოდათ. სასამართლომ რაუსალი გაამართლა, ხოლო გოგიასა და შუტოვს ციხეში დაპატიმრება მიუსაჯა: გოგიას—8 თვით, შუტოვს-კი—ერთი წლით. ამ ვადაში ის დროც ჩაეთვლებათ, რა ხანიც ციხეში ისხდნენ. საქმის გარჩევაზე დასწრება გარეშეთ აკრძალული ჰქონდათ. ბრალდებულთ იცავდნენ ვექილები ი. ზურაბიშვილი, ი. ბარათაშვილი და ტ. იოანნისიანცი.

◆ ოთხშაბათს, 15 ივნისს, **ვერის ხიდიდან მტკვარში გადავარდა** ათი-თორმეტი წლის ბავშვი—ნიკოლაევის საქალაქო სკოლის მოწაფე, გვარად გვანცალაძე. მიზეზი ამ უბედურებისა, როგორც ამბობენ, ისა ყოფილა, რომ ამ ბავშვს მათ ოჯახში მცხოვრებ ამხანაგისთვის უცემია; ამხანაგი დამუქრებია: შენ ძმას ვაცემინებ შენ თავსაო. ბავშვიც შეშინებულა, შინ ბარათი დაუტოვებია—თავს ვირჩობო—და მტკვრისკენ გაქცეულა. ბავშვს უკან დასდევნებიან, მაგრამ ამაოდ. დამრჩვალის გვამი ჯერაც ვერ უპოვნიათ.

◆ 15 ივნისს ბაკურიანის გზაზე, სადგურ ნიკოლაევთან, **გაიხსნა საზაფხულო სადგომი და სანატორიუმი** ბავშვთათვის,—ექიმ ვ. დ. ღამბაშიძისა. ეს მეორე წელიწადია, რაც ეს სასარგებლო დაწესებულება მოქმედობს და თანდათან მეტ ხალხს იზიდავს.

◆ როგორც ქართლიდან გვატყობინებენ, ს. ზემო-ხვითის გლეხებს **მიწის მზომელთა და ხაზინის რწმუნებულისათვის უარი უთქვამთ** მუშისა, ცხენების და ბინის მიცემაზე. მიწის მზომლები ტფილისს დაბრუნდნენ და თავიანთ უფროსთან საჩივარი აძრეს.

◆ ტფილისის მოქალაქეს სოლომონ ალექსანდრეს ძე **ბაბახანოვს**, ვაჟთა მეორე გიმნაზიისთვის 80 **ათას მანათად ღირებული სახლი უანდერძებია**. ამ სახლის შემოსავლით იმავე გიმნაზიაში სომეხთა ბავშვები უნდა იზრდებოდნენ.

◆ გუშინ-წინ, 16 ივნისს, ქართლ-კახეთის **სამრევლო სკოლების სამაზრო განყოფილებაში**, დეკანოზის კ. ცინცაძის თავმჯდომარეობით, **კრება შესდგა**. კრებამ ერთხმად დაადგინა: რადგანაც სამაზრო განყოფილებას თითქმის ყველა უფლებანი ჩამოერთვა და იგი პედაგოგიურ მიზანს აღარ ემსახურება, საჭიროდ ვთვლით — წევრობაზე უარი განვაცხადოთო.

◆ სახალხო სასწავლებელთა დირექტორმა ფედეროვსკიმ ბათომის ქალაქის გამგეობას აცნობა, რომ **მასწავლებელი ქალები და ვაჟები**: ფ. მგელაძე, ი. ღლონტი, ი. შარაშიძე, ე. კეჟერაძე, დ. ანდრიანოვიჩი და ნ. მგელაძე **სამსახურიდან გამოვრიცხე** და მათ დოკუმენტებს გიგზავნით, კუთვნილებისამებრ გარდასაცემადო (ჩ. ვ.).

◆ ამ მოკლე ხანში დაიწყება **დროებითი მოძრაობა ულუხანლუ-სპარსეთის საზღვრის რკინის გზაზე**. ერევნიდან მატარებელი გავა დილის 5 საათზე, ულუხანლუდან კი ერევანში მოვა ნაშუადღევის 6 საათზე.

◆ ტფილისში ჩამოვიდა ბათომის ქალაქის **მოურავი თ-დი ზ. ანდრონიკაშვილი**.

◆ სოფ. ვეძისის მემამულემ შ. შიეოევმა ტფილისის მაზრის უფროსს განუცხადა: გლეხები საბალახესა და სხვა გადასახადებს არ მიხდიანო. დაბარებულმა გლეხებმა განუცხადეს: აბაზის მაგივრად მანათს გვახდევინებს და ჩვენ ამგვარ გადასახადების თავი არა გვაქვსო.

◆ გუშინ, 17 ივნისს, ქალაქის მოურავის მოადგილისა, ზოგიერთ ხმოსნებისა, ხმოსან-ექიმებისა, ქალაქისა და ქალაქის სამკურნალოების **ექიმების თანადასწრებით, კრება შესდგა** შინაგან საქმეთა სამინისტროს-მიერ 1903წ. 11 აგვისტოს ხოლერის შესახებ გამოცემულ წესდებათა განსახილველად. ეს კრება შეუერთდა მოსკოვში მომხდარ პიროგოვის სახელობის ექიმთა კრების აზრს და დაადგინა: არც ერთმა ექიმმა წონაწილეობა არ მიიღოს საგუბერნიო-სამაზრო სასანიტარო ინსპექციის კომისიაში.

◆ ამიერ-კავკასიის **რკინის გზათა უფროსმა შუამდგომლობა აღძრა** რკინის გზათა მთავარ გამგეობის წინაშე: ნება მოგვეცით რკინის გზის მოხელეთათვის საავარაკო ადგილები შევიძინოთ მცხეთისა და მის მიდამოებშიო. ეს საავარაკო ადგილები მოხელეებს თანდათან უნდა გამოესყიდათ რკინის გზის გამგეობისაგან. რკინის გზის მთავარმა გამგეობამ ჯერ-ჯერობით უარი შემოუთვალა.

◆ სამშაბათს, 22 ივნისს, დანიშნულია **მოქალაქეთა მამასახლისისა** და ორის წევრის არჩევნები.

◆ სამხედრო ლაზარეთში, პურის ჭამის დროს, **მოწამლულა** მესამე მსროლელთა ბატალიონის ჯარის კაცი ლარიონოვი, რომელიც უკვე გარდაიცვალა. ამ საქმეზე სასტიკი გამოძიება დაინიშნა.

◆ **სომხთა არქიმანდრიტის ზევენისაგან შემდეგი დეპეშა მიუღია გაზ. „კასპი“-ს**: „ჩვენ, ამისა ქვემორე ხელის მომწერო, მუსულმანთა და სომხეთა წარმომადგენელთ, 1905 წ. 11 ივნისს ტფილისში კრება გვქონდა და ერევანში მომხდარ უბედურ შემთხვევათა გამო ვითათბირეთ. ვსცანით რა, რომ მომხდარი სისხლის ღვრა ორივე ერისთვის დიდად მავნებელია და ზნეობრივ-ქონებრივად გამათახსირებელი, მივმართავთ ჩვენს თანამოძმეთ და გულმხურვალედ ვემუდარებით, შესწყვიტონ ძმათა ეს სისხლის ღვრა, თავის ძველებურს განწყობილებასა და საქმეს დაუბრუნდნენ და ათასწლობითი კეთილ-მეზობლობა კვლავ განამტკიცონ. ჩვენს გულის-წყრომასა და ზიზღს ვუთვლით ყველა იმ პირთ, ვინც, სიტყვით თუ საქმით, ხელს უწყობდა ამ სამარცხვინო უბედურებას და, ცრუ ხმების გავრცელებით, მათ შორის განხეთქილებას ამწვავებდა“. ამ დეპეშას ხელს აწერს 44 მუსულმანი და სომეხი.

◆ ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების **საქველმოქმედო ბაზრისთვის** შემოსწირეს სხვადასხვა ნივთები შემდეგმა პირებმა: 1) ალშვანგის მაღაზიამ კაბის 2 ზედატანი და 6 საყელო. 2) ასტვაცატუროვმა ფაიფურის 2 ფინჯანი და 1 სასუხრე. 3) დიტიატკოვსკის მაღაზიამ სხვადასხვა საკანცელარიო ნივთები. 4) გულასპოვის მაღაზიამ 2 ვაზა ყვავილებისთვის, 3 ქამარი, 5 საყელო, 5 სარკე ჯიბისა, 5 ბროშკა, 2 ძეწკვი, 2 ყუთი შპილკები და სხვ. 5) ფირალოვის მაღაზიამ 12 სხვადასხვა ნივთი. 6) კაჭკაჭოვის მაღაზიამ რამდენიმე ნაჭერი მატერიებისა. 7) ფორაქიევის მაღაზიამ რამდენიმე ნაჭერი მატერიებისა. 8) ილ. ქურციკიძემ ერთი ხელის ყუთი. 9) ვაჟიკაშვილმა 10 ბოთლი ღვინო. 10) დ. ზ. სარაჯიშვილმა 12 ბოთლი სხვადასხვა სასმელები. 11) სილვესტრისაგან ჟაკეტკა, ღირებული 20 მან.

◆ წარსულ კვირას, საღამოს 11 საათზე, მუშტაიდში, გორგიჯანოვის ბაღში, შესულა ორი კაცი, ს. ბაკურაძე და ი. ალავიძე, რომელთაც **ლუდი მოუთხოვიათ**. ამის პასუხად გორგიჯანოვის დახლიდარს უპასუხნია: თქვენ ლაქიები ხართ, თქვენი ადგილი სამიკიტნოა და იქ წადითო! ასეთ პირად შეურაცხყოფას ჩხუბი მოჰყვა, ერთმანეთს თავპირი დაუმტვრიეს და ბოლოს პოლიციამ ოქმიც შეადგინა. ამ ამბავმა ტფილისის მოსამსახურეთა შორის გაცხარებული მითქმა-მოთქმა და აღელვება გამოიწვია.

◆ **ბაქოს პოლიცმეისტერს განკარგულება** მოუხდენია: სამუშაო დღეებში, მარზაბეკიანცის თამ-

ფელეტონი

ქართული ენა ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლაში

არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ, თუ გვსურს მოწაფე რომელსამე საგანს ბეჯითად ეპყრობოდეს, საჭიროა, ეს საგანი ან თვისი **ფორმითა და შინაარსით** იყოს მოწაფისთვის მიმზიდველი, ან-და **სასკოლო საგანთა შორის ისეთი ალაგი** მაინც ეჭიროს, რომ როგორც მასწავლებელს, ისე მოწაფეებსა და მათ მშობლებს, ყველას აუცილებელ საჭიროებად მიაჩნდეს მისი შესწავლა და შეთვისება.

წინა წერილში, ვგონებთ, საკმაოდ გავარკვიეთ, თუ რამდენად მიმზიდველი უნდა ყოფილიყო ჩვენს სკოლაში „ქართული ენა“ თავისი ძველი პროგრამით. რაც შეეხება სხვა საგანთა შორის მის მდგომარეობას, ამაზე კი შემდეგი უნდა ვთქვათ.

მართალია, სკოლის დამაარსებელთა და თვით მასწავლებელთა აზრის თანახმად, „ქართულ ენას“ სკოლის ჟურნალებსა და სამოსწავლო მოწმობებში რუსულის შემდეგ პირველი ადგილი აქვს დათმობილი, მაგრამ ნამდვილად, ფაქტიურად კი ჩვენი მოწაფის თვალში ქართული ენა, როგორც სასწავლო საგანი, ამ სიმაღლეზე არაოდეს არ მდგარა და ვერც დადგება, სანამ მოწაფე ჩვენს სკოლას მხოლოდ იმისთვის ათავებს, რომ მთავრობის გიმნაზიაში მომწიფების ეგზამენი დაიჭიროს. როგორც მოწაფეები, ისე მათი მშობლები ჩვენს სკოლას უცქერიან, როგორც გიმნაზიისათვის მოსამზადებელ პანსიონს (იგი მართლაც ასეთია) და მის ღირსებას ანუ ნაკლულევანებას იმით ზომავენ, თუ ამ სასწავლებელში კურს-დამთავრებულთაგან რამდენი კაცი ახერხებს ან ვერ ახერხებს გიმნაზიაში ეგზამენის დაჭერას. გიმნაზიაში კი, როგორც მოგეხსენებათ, ქართულს არ ასწავლიან და არც ეგზამენზე თხოულობენ. მაშასადამე, რისთვის მიაკლავს ჩვენი მოწაფე თავს ქართული მწერლობის შესწავლას ან რად შესწუხდებიან ამისათვის მისი მშობლები და მზრუნველები!.. და, მართლაც, ჩვენი მოწაფეებისაგან ხშირად გაიგონებთ ამგვარს მსჯელობას: „რად გვინდა, რომ ქართული ენა წარმატებით ვისწავლოთ, ბოლოს და ბოლოს ხომ მაინც გიმნაზიაში უნდა დავიჭიროთ ეგზამენი, იქ კი უქართულოდაც იოლად წავალთო“, და სხვა. ცხადად თუ ფარულად ამასვე იმეორებენ მათი მშობლებიც.

თქვენ იტყვით, რომ ეს ფრიად სამწუხარო მოვლენა არის, რომ ამისთანა სიტყვებს ყურიც არ უნდა ათხოვოთო, და სხვა. დიახ, სამწუხარო მოვლენა გახლავთ, მაგრამ მარტო ამისი თქმით რა გაკეთდება?!..

არ კმარა მარტო სამწუხარო ფაქტი ვსცნოთ და დავასახელოთ. საჭიროა, ძირიანად შეიცვალოს ის ყალბი მდგომარეობა, რომელიც ჩვენს სკოლას მოსამზადებელ პანსიონად ჰხდის და საკუთარს მნიშვნელობას უკარგავს. საჭიროა, ჩვენი სკოლა ისეთს სასწავლებელს წარმოადგენდეს, სადაც მოსწავლე დროის შესაფერს დამთავრებულს საშუალო სწავლა-განათლებას იძენდეს და, თუ ყველა საგნების სწავლება ქართულად არ იქნება, თვითონ ქართული ენა მაინც ყველას თვალში, არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც ნამდვილ მთავარ საგნად იქნეს მიჩნეული.

ასეთია პედაგოგიურ საბჭოს აზრი ამ საგნის შესახებ. განვიხილოთ ახლა ქართული ენის გაკვეთილები.

რასაკვირველია, შრომის ნაყოფიერობისათვის, დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, თუ რამდენ საათს მუშაობს მასწავლებელი მოწაფეებთან და, სახელდობრ, რამდენ დროს უხდება მას სკოლაში მეცადინეობა. სხვა თანასწორ პირობებში, ცხადია, მოწაფეები იმ საგანს უფრო ნაყოფიერად შეისწავლიან, რომელსაც კვირაში 4—5 გაკვეთილი აქვს დათმობილი, ვინემ იმას, რომელსაც 2—3 გაკვეთილის მეტი არ ეძლევა. ამასთანავე გაკვეთილების რიცხვი იმისი მაჩვენებელიცაა, თუ რამდენად მაღალს ადგილს უთმობენ ამა თუ იმ საგანს სხვა საგანთა შორის.

თუ „ქართულ ენას“ ამ მხრით შევხედავთ, აღმოჩნდება, რომ იგი გაცილებით უფრო ცუდს პირობებში სდგას, ვინემ დანარჩენი მთავარი საგნები. შესადარებლად ავიღოთ თუნდ რუსული ენა.

როგორც მეორე წერილში გავარკვიეთ, „ქართული ენა“ ჩვენს სკოლაში სამი საგნისაგან შესდგება: საკუთრად ენისა, სამშობლო გეოგრაფიისა და ისტორიისაგან. მაშასადამე, უბრალო სამართლიანობა მოითხოვდა, ამ საგანსაც იმდენივე გაკვეთილი ჰქონოდა დათმობილი, რამდენიც საკუთრად რუსულის ენისა, რუსეთის გეოგრაფიისა და ისტორიისათვისაა დაწესებული. ნამდვილად კი საკუთრად რუსულ ენას უფრო მეტი გაკვეთილები ეძლეოდა და ეძლევა, ვინემ ამ სამ-სართულიანსა და სამ-პიროვანს „ქართულ ენას“.

მაგრამ, აი, თვითონ ციფრები. მეტის სისრულისათვის ფრანგული ენის გაკვეთილებსაც ვუჩვენებთ.

კლასები.	რუსული ენა.	ქართული ენა (ამაშია ისტორიაც).	ფრანგული ენა.
I	5 გაკვ.	4 გაკვ.	— გაკვ.
II	5 „	4 „	5 „
III	4 „	3 „	3 „
IV	4 „	3 „	3 „
V	3 „	3 „	3 „
VI	5 „	2 „	3 „
VII	4 „	2 „	3 „
VIII	3 „	2 „	3 „
სულ	33 „	23 „	23 „

ამრიგად, გიმნაზიურს კლასებში საკუთრად რუსულ ენას 33 გაკვეთილი აქვს დათმობილი, ქართულს ენასა და საქართველოს ისტორიას კი —23 გაკვეთილი, ე. ი. იმდენი, რამდენიც ფრანგულს ენას კერძოდ.

მაგრამ, იქნებ, დროის ნაკლებობა მისი ღირსებით მაინც გამოისყიდებოდეს, ე. ი. ქართული ენის გაკვეთილები კვირის ისეთს დღეებსა და სამეცადინო დღის ისეთ საათებში ხვდებოდეს, როცა ბავშვის ტვინი ჯერ კიდევ საღად მუშაობს და წინანდელის შრომით ძლიერ მოქანცული არაა. ასეთს დროდ შეგვიძლია ჩავთვალოთ კვირის პირველი ოთხი დღე (ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი და ხუთშაბათი) და სამეცადინო დღის პირველი სამი საათი (ე. ი. I, II და III გაკვეთილი), რადგან დანარჩენს დღეებსა და საათებში მოწაფეებიცა და მასწავლებლებიც შესამჩნევათ იღლებიან და მათს მუშაობას ნაყოფიერება აკლდება.

ჩვენ ხელთა გვაქვს სათავად-აზნაურო სკოლის მიმდინარე წლის „გაკვეთილთა სია“, და, აი, რას გვეუბნება ეს სია. რაც მთელი კვირის განმავლობაში რუსულს ენას გაკვეთილები აქვს მიცემული, მათი 68% და მეტიც პირველს ოთხს დღესაა დანიშნული, ხოლო იმავე დღეებში ქართული ენის გაკვეთილების რიცხვი 63%-ს არ აღემატება; პირიქით, პარასკევსა და შაბათს, როცა მოწაფე უფრო მოქანცულია, ქართულს ენას ყველა გაკვეთილების 37% მოსდის, რუსულს კი — 32 პროცენტზე ნაკლები. — სწორედ ამ სახითვე, რუსული ენის ყველა გაკვეთილთა 76% სამეცადინო დღის პირველ სამ საათზეა დანიშნული, ხოლო იმავე „საათებს“ ქართული ენის გაკვეთილების 60%-ზე მეტი არ მოსდის.

მართალია, ეს ციფრები ყოველ წელს ერთი და იგივე არ ყოფილა, —იგინი მუდამ რყევაში იყვნენ, და ეს რყევა ბევრს წვრილმან შინაურ მიზეზებზე იყო დამოკიდებული; მაგრამ ამ რყევის უმთავრესი ტენდენცია მუდამ ერთი და იგივე იყო და არის. თავიდათავი მიზეზი, რომელიც ქართულ ენის გაკვეთილებს უვარგისს პირობებში აყენებს, სკოლის გარეშე სდგას, ან, უკეთ რომ ვთქვათ, იმ საერთო სასწავლო სისტემიდან გამომდინარეობს, რომელიც ჩვენს სკოლას გარედან აქვს შეთვისებული. ჩვენ ვამბობთ კლასიკურ გიმნაზიათა პროგრამაზე, რომელიც ჩვენს სკოლაში თითქმის უცვლელად გამეფებულია და რომლის ძალითაც ადგილობრივი სამოსწავლო მთავრობა ყოველი წლის დამდეგს თხოულობს, გაკვეთილების სია მას წარუდგინონ დასამტკიცებლად. ამ მთავრობის აზრი კი ქართულ ენის შესახებ, ვინ არ იცის, თუ როგორიცაა?!... და სწორედ ამ აზრს უწევდნენ ანგარიშს, და არც შეეძლოთ სხვანაირად მოქცეულიყვნენ ჩვენი საგაკვეთილო სიების შემდგენელნი.

ამრიგად: ერთის მხრით, ვრცელ პროგრამასთან შეუფერებელი, მეტად მცირე რიცხვი გაკვეთილებისა და, მეორე მხრით, თვით გაკვეთილების დროის შედარებითი უვარგისობა, როგორც პირდაპირი შედეგი გარედან შეთვისებულის საერთო სასკოლო სისტემისა, — აი, რა სამწუხარო პირობაში იმყოფებოდა და იმყოფება ქართული ენა ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლაში.

ცხადია, ასე ამ გარემოების დატოვება აღარ შეიძლებოდა. და, აი, საპედაგოგო რჩევის კომისიამ ერთხმად გადასწყვიტა: სკოლის საზოგადო ხასიათის შეცვლასთან ერთად, რომელზედაც წინად გვქონდა ლაპარაკი, ქართულ ენას გაკვეთილების რიცხვი მოემატოს, საქართველოს ისტორია სრულიად დამოუკიდებელ სასწავლო საგნად იქნეს მიჩნეული და მასაც საკუთარი გაკვეთილები დაენიშნოს.

უკანასკნელ, განვიხილავთ სახელმძღვანელოებს. თავის საგნის ზედმიწევნით მცოდნესა, გამოცდილსა და ნიჭიერს მასწავლებელს სახელმძღვანელო არ სჭირდება. ის უამისოდაც კარგად ასწავლის. მაგრამ სუსტად მომზადებულსა და გამოუცდელ მასწავლებელს კი კარგად შედგენილი სახელმძღვანელო ფრიად დიდ სამსახურს გაუწევს; ხოლო მოწაფეებისათვის რიგიანი სახელმძღვანელო, განსაკუთრებით ისეთს საგანში, რომელსაც დიდ პროგრამასთან მეტად მცირე გაკვეთილები აქვს, აუცილებლად საჭიროა.

თუ ამ მხრით შევხედავთ, ქართული ენა მეტად უნუგეშო მდგომარეობაში გვეჩვენება.

ავიღოთ თუნდ სამშობლო გეოგრაფია. თუ ბ-ნ იაკობ გოგებაშვილის „ბუნების-კარის“ მეორე განყოფილებას არ ჩავთვლით, ამ საგანში დღემდე ერთი სასკოლო წიგნიც კი არ მოგვეპოვება.

ესევე უნდა ითქვას გეოგრაფიულ რუკის შესახებაც.

უკეთეს მდგომარეობაში არც საკუთრად ქართული ენისა და მწერლობის ქრისტომატიებია. მოსამზადებელსა და გიმნაზიის დაბალ კლასებისათვის, როგორც არის, კიდევ იშოვება ორიოდე კრებული და საკითხავი წიგნი („დედა-ენა“, „ბუნების-კარი“ და „წყარო“). მაგრამ, ზედა კლასებს რაც შეეხება, საამათოდ კი, ყოვლად-სამღვდელო კირიონისა და ბ-ნ გრ. ყიფშიძის-მიერ შედგენილ ქრისტომატიის გარდა, რომელიც, სამწუხაროდ, ჩვენი სკოლის პროგრამას სავსებით ვერ აკმაყოფილებს, არავითარი, ახალ დროის შესაფერად შედგენილი, ქართული სალიტერატურო ქრისტომატია არა გვაქვს.

ამას კიდევ დიდად არაფრად ჩავაგდებდით, ჩვენი ძველისა და ახალი მწერლების იაფ-ფასიანი გამოცემანი რომ მაინც გვქონდეს. სამწუხაროდ, დღემდე, ბ-ნ მთვარელიშვილის-მიერ გამოცემულ საბა ორბელიანის „იგავ-არაკთა“ და ბ-ნ დ. კარიჭაშვილის რედაქციით დაბეჭდილ „ვეფხის-ტყაოსნის“ გარდა, ჩვენი უპირველესი მწერლების სრული გამოცემა ან სულ არ მოგვეპოვება, ან ისეთს ბიბლიოგრაფიულს „ნატვრის-თვალს“ წარმოადგენს, რომ მათი შეძენა (თუ კი სადმე იშოვება), მოწაფეს კი არა, მასწავლებელსაც ძლიერ გაუჭირდება.

მაგრამ, სახელმძღვანელოების მხრივ, ყველაზე უფრო ცუდ მდგომარეობაში საქართველოს ისტორია იმყოფება.

როგორც წინა წერილში დავინახეთ, საქართველოს ისტორია ორ კურსადაა დაყოფილი: ეპიზოდიურად და სისტემატიურად. ეპიზოდიურ კურსის სახელმძღვანელოდ ერთ დრომდე „ბუ-

ბაქოს ქარხანაში, პოლიციის ერთი მეთვალყურე და ორი პოლიციელი იდგეს. იმათ სურთ მუშებს ქარხანაში იარაღის მოტანა მოაშლევინონ, თუმცა პოლიციელებს უფლება არ ექმნებათ მუშების გაჩხრეკისა. მუშებს გასინჯვენ ხოლმე ისევ მუშებისაგან ამორჩეული პირები—ორი რუსი, ორი თათარი და ორი სომეხი.

◆ სამკურნალოთ გამგეობის-მიერ შეკრებილ ცნობებით, მთელ სამკურნალოებში იმ წლის განმავლობაში ყოფილა 354, 290 ავადმყოფი, 195 ექიმი, 17 ექიმი-ქალი, 40 ფერშალი-ქალი 173 ფარმაცევტი და 22 ბებია-ქალი.

◆ როგორც მანგლისიდან გვატყობინებენ, სოფ. პრიუტში ვახ. თულაშვილის მოურავი შოში ჯოხაძე **დაუჭრია** ვას. თულაშვილის მოურავს ზ. ფალიაშვილს.

◆ კარაპეტოვისა და ბერექანოვის ქარხანამ გზათა სამინისტროს წინაშე **შუამდგომლობა აღძრა**—ხაშურში ვაგონების შესაკეთებელ ქარხნის დაარსების ნება მოგვეცითო. ახლა რკინის გზათა მთავარი სამმართველო ეკითხება რკინის გზის უფროსს, ეს საქმე ხაზინისათვის რამდენად ხელსაყრელიაო.

◆ 16 ივნისს, მე-288 ვერსზე, ავჭალის მახლობლად, სახალხო მატარებლის № 3 ქვეშ **ჩავარდა 14 წლის ქალი და გასრისა.** ვინაობა არ იციან.

ხალხი და სახელმწიფო ბიუჯეტი

სახელმწიფო ბიუჯეტის საკითხს მალე, ძალიან მალე მთელი საზოგადოება ძალაუნებურად ყურადღებას მიაქცევს. როდესაც ხალხი სახელმწიფო საქმეების მართვა-გამგეობას იკისრებს, როდესაც ადამიანი ყოველ უკანასკნელ პოლიციელის ყურ-მოჭრილი მონა აღარ იქმნება, როდესაც მას ცოტაოდენი თავისუფლება მიენიჭება,—მაშინვე მისი გადასაწყვეტი შეიქმნება მთავარი საკითხი,—როგორ უნდა გადარჩეს გაკოტრებას რუსეთი?..

პირველ შეხედვით, ეს საკითხი არაა საშიში. და, ალბად, იმიტომ არის, რომ ამჟამად ჯერ კიდევ ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს მას საზოგადოება. გაკვრით იხსენიებენ ხოლმე ამ ფინანსებს და არ იციან, რომ დიდი შრომა და მეცადინეობა არის საჭირო ერთხელვე აწეწილ ფინანსების მოსაწესრიგებლად. მოისპობა ახლანდელი უუფლებობა, ძარცვა-გლეჯა, ხალხის დამონება, გამათრახება და ხალხი თვითონ შეიქმნება თავისი ბატონი.

აი, მაშინ გამოჩნდება, თუ რა მდგომარეობაშია რუსეთის სახელმწიფო ფინანსები... საშინელი სურათი იქმნება. ხალხის წარმომადგენლები დაინახავენ აშკარად ერთის მხრივ ქონებრივად საშინლად შევიწროვებულ ხალხს და მეორეს მხრივ კი—სახელმწიფო ვალს... რამოდენიმე მილიარდია ეს ვალი... ხუთი, რვა, ათი მილიარდი მანათი... ყველა ხალხის გადასახდელი, ისედაც გაღატაკებულ ხალხის კისრიდან ასაღები...

ახლავე ამბობენ უცხოელები რუსებზე: „ჩვენი იმედი ნუღარ გექმნებათო. ყველასთვის ცხადი შეიქმნა, რომ აღარა ხართო სანდონი“.

ამნაირ პირობებში ყოველი ვაჭარი „კოტრდება“, ძნელი ხდება ვალების გადახდა, მისი თამასუქი აღარ გადის და ამიტომ იგი იძულებული ხდება მთელი თავისი ქონება გადასდოს ვალების გადასახდელად.

რუსეთისთვის ეს ხომ პირველი არ არის! ერთხელ, მანაც ხომ თავის მანათში მხოლოდ 23 კაპ. გადაიხადა, მაგრამ მაშინ ვალებში მიდიოდა ყოველ წლიურად 100 მილიონი მანათი,—ახლა კი?..

ომი რომ დასრულდება, ას მილიონის მაგივრად ყოველ წლიურად ერთი მილიარდი მანათი იქნება გადასახდელი.

ეს მილიარდი უნდა გადაიხადოს ხალხმა, რომელიც ქონებრივად სულ გაკოტრებულია.

ვინ უნდა მოაწესრიგოს ეს საქმე? ბიუროკრატიამ, რომელიც მხოლოდ ახალ თანამდებობას ჰქმნის, ჯამაგირებს უმატებს თავის ერთგულებს? არა! ხალხმა უნდა იცოდეს, სად მიდის მისი ფული, რაზე იხარჯება მისი ნაოფლარი, უნდა იცოდეს ახლავე, უნდა იცოდეს უთუოდ!

საჭიროა, ხალხმა შეიტყოს, რომ გარდასახადის სახით შეგროვილი ფული ხშირად თვით ხალხის დამონებაზე იხარჯება.

რა საჭიროა, ნიღაბი... გამოჩნდეს ამ ნიღაბის ქვეშ ბიუროკრატიის ნამდვილი სახე, საშინელი, შემაძრწუნებელი...

აი, მაშინ გაიგებს ხალხი, თუ სად არის მისი ნამდვილი მტერი... (ნ).

ა. მატიუშენსკი.

ხალხის წარმომადგენლობა ახლავე, დაუყოვნებლივ!

ის დრო ახლოა, როდესაც ხალხის წარმომადგენლები თავს მოიყრიან...

მალე ეღირსება განხორციელება იმ იმედს, რომელიც თანასწორად უღვივის გულში რუსსაც და მალოროსსაც, პოლონელს, ურიას, ქართველს, ლიტოველსაც და სომეხსაც.

ცუსიმის ბრძოლამ, ესკადრის განადგურებამ, რუსეთის ჯავშნიან გემების იაპონელების ხელში გადასვლამ დააჩქარეს ეს საქმე...

მუკდენის შემდეგ ზოგიერთს გამარჯვების კიდევ მცირეოდენი იმედი ჰქონდა...

როჟესტვენსკი მადაკასკართან იყო გაჩერებული, მას უერთდებოდა ნებოგატოვი... ბედი ცვალებადია... ვინ იცის, შეიძლება დამარცხდეს ტოგო, შეიძლება მივიდეს როჟესტვენსკი ვლადივოსტოკში... ამას ჰფიქრობდა ზოგიერთი დაბრმავებული ადამიანი, ამასვე ჰფიქრობდა სისხლის მორევში ამოსვრილი ბიუროკრატიაც.

ყოველ დამარცხების დროს ეძებდნენ „დამნაშავეს“ და ივიწყებდნენ, რომ დამარცხების ნამდვილი მიზეზი იყო უვარგისი წესწყობილება.

ბიუროკრატია სიმართლეს მალავდა, ხალხს ატყუილებდა, ვერ ამჩნევდა, რომ ბოლოს მოტყუილებული თვითონვე უნდა დარჩენილიყო, რომ ხალხი ბოლოს თვალს აიხელდა და დაინახავდა, რომ მისი ნამდვილი მტერია,—თვითონ ბიუროკრატია...

ცუსიმის ბრძოლამ ყველას თვალი აუხილა,—დაუჯერებელი შესაძლო შეიქმნა,—მთელი ესკადრა გაანადგურეს იაპონელებმა, რამოდენიმე გემი ტყვედ წაიყვანეს უვნებლად...

ნახევარი წლის მომზადება, ნახევარ წლის მოგზაურობა... ათასობით დაიღუპა მეზღვაურები, ას მილიონობით დაიხარჯა ხალხის ქონება და ბოლოს... ამით იაპონელებს კიდევ რამოდენიმე ტყვედ წაყვანილი გემი მოემატათ... იაპონელების ზარალი სულ ორი თუ სამი პატარა ნაღმოსანია...

რუსეთში მცხოვრები ხალხი ასი წლის მონობის, დამცირების და განზე გაჩერების დროს გადაეჩვია თავის სურვილების აშკარად გამოთქმას. გარედან არაფერი აღშფოთება არ ეტყობოდა არავის...

მაგრამ ხალხი სულ უგულოდ როდი ეკიდებოდა ამნაირ შემთხვევას, არა! ყველგან, რუსეთის ყველა კუთხეში გაისმა ძახილი: ხალხის წარმომადგენელთა მოწვევა, ახლავე, დაუყოვნებლივ!

რისთვის?—ეს შემდეგ გამოჩნდება... ყველას რაღაც აზრი აქვს, ერთი იმედი...

ხალხი ჯგუფებად იყოფა, ყველა თავის საპოლიტიკო მიმართულებას ირკვევს და აცხადებს. პირველად „მემარცხენი“ გამოვიდნენ, მერე „მემარჯვენენიც“. ორივე მთავრობის „რეფორმების“ წინააღმდეგია, მემარჯვენენი იმიტომ, რომ პრინციპიალურად არავითარი რეფორმა არ უნდათ, მემარცხენი კი იმიტომ, რომ უნდათ ურეფორმობით შეწუხდეს ხალხი და აჯანყების გზას დაადგეს, ძალით მოიპოვოს თავისუფლება.

შუაში მყოფი ნაწილიც რამოდენიმე ჯგუფად გაიყო, ზოგი ითხოვს, რომ საერთო კრებას კანონმდებლობის უფლება ჰქონდეს მინიჭებული, ზოგი კიდევ სათათბირო უფლებას კმარობს, ზოგი საყოველთაო საარჩევნო უფლების მომხრეა, ზოგი კიდევ ცენზს ეპოტინება ან ორკეც არჩევნების შემოღებას აპირობს.

მაგრამ ყველა თანახმა არის, რომ საჭიროა არჩევნების წინ აგიტაციის თავისუფლება და ამისთვის კი ახლავე უნდა მოისპოს ცენზურა, უნდა შემოვიდეს სიტყვის და კრების თავისუფლება, გაძლიერებულ დაცვის წესების მოსპობა, პიროვნების ხელუხლებლობა, საპოლიტიკო დამნაშავეთა ამნისტია და სხვა, და სხვა.

ამას ითხოვდნენ აშკარად 24 მაისს ერობათა წარმომადგენელნი მოსკოვში.

ითხოვდნენ აგრეთვე, რომ ახლავე, დაუყოვნებლივ მოიწვიოს ხალხის წარმომადგენლები მთავრობამ. ამას მოითხოვს ყველა, ამ აზრს ადგია ყოველი ჯგუფი, ყოველი დასი...

მართლაც, რა არის ამჟამად საჭირო? საჭიროა მოისპოს ყოველივე ის, რაც ხელს უშლის საარჩევნო აგიტაციის თავისუფლებას. ამიტომ უნდა მოისპოს ახლავე ცენზურა, უნდა მოისპოს ადმინისტრატიული თვითნებობა, პიროვნების დახავვრა. უნდა მოისპოს ყოველივე ეს, თუმცა ამაზეა აგებული არსებული წეს-წყობილება, თუმცა ეს არის ახლანდელ საზოგადო ცხოვრების კანონი. უუფლებობა, თვითნებობა—ახლანდელ ცხოვრების ორი დედა-ბოძია.

ბიუროკრატია სჩაგრავს ადამიანის პიროვნებას, სპობს თავისუფლებას, გულწრფელ გრძნობას ჰკლავს, აზროვნებას განვითარების უფლებას არ აძლევს...

რევოლუცია ნამდვილი, რევოლუცია საქმით და მოქმედებით მომავალში მოჩანს... მაგრამ იდეური რევოლუცია, რევოლუცია აზროვნებაში ახლავე დაიწყო უკვე: წაიკითხეთ ქრონოლოგიურის რიგით სხვადასხვა მოთხოვნილება, ადრესი, პეტიცია, რეზოლუცია... აშკარად მიხვდებით, რომ რაღაც ძალამ გაზარდა, ასწია ხალხი, მის გონებას და სურვილებს ფრთა შეასხა, გააძლიერა...

ხალხი ასეთის ერთობით თუ მოითხოვს ამჟამად ბიუროკრატიის მოსპობას, გადაყენებას,—იმიტომ რომ ამ ბიუროკრატიის ბატონობამ დაღუპა ხალხი... ხალხი ამიტომ მოითხოვს ბიუროკრატიის სრულებით მოსპობას... ნუ თუ ამნაირ პირობებში საფიქრებელია, რომ იგივე ბიუროკრატია თავის ნებით, თვითონვე მიანიჭებს ხალხს სიტყვის, აზრის, შეგროვების თავისუფლებას, მიანიჭებს მას კანონმდებლობის უფლებას, როდესაც იცის, რომ ხალხს ეს უფლება სჭირია ბიუროკრატიის მოსასპობად ან დასასჯელად'?.

არა, ბიუროკრატია ამ უფლებებს არავის მისცემს. თქვენ იტყვით,—მოვაცემინებთო, და მე გიპასუხებთ,—არა, ვერ იზამთ ამას იმიტომ, რომ ბიუროკრატია ვერ მოგცემთ ამაებს.

12 დეკემბერს ბიუროკრატიას უნდოდა სახელმწიფო ცხოვრების მოწესრიგება. ამ დღეს გამოცემულ უქაზში მოთავსებულია განმანთავისუფლებელ მოძრაობის სრული პროგრამა...

გავიდა ექვსი თვე... კანცელარიებში მუშაობა არ შეწყვეტილა. დაიწერა მთელი ხროვა ქაღალდი, ყველასათვის გაუგებარი, უაზრო, უშინაარსო პროექტები შემუშავდა, რამოდენიმე კომისია, კომიტეტი და რჩევა მუშაობდა... და რა გამოვიდა? სულ არაფერი. ნახევარი ნაბიჯი წინ გადადგმული და ოცი ნაბიჯი უკან... ეს არის პროგრესი!

ახლანდელ განმანთავისუფლებელ მოძრაობის უმთავრესი დედა-აზრია: ასე ცხოვრება აღარ შეიძლებაო! ხალხს სული ეხუთება. ეკონომიურად დაღუპულია ქვეყანა. ნდობა აღარა აქვს რუსეთს. კანონმდებლობის განვითარება შეწყვეტილია. ომი...

ამავე მოძრაობის მეორე დედა-აზრია: თვითნებობის მაგივრად კანონიერება უნდა დამყარდეს რუსეთში...

მესამე: ამ კანონიერების შემოღება მხოლოდ ხალხს შეუძლიან, შეუძლიან მხოლოდ ხალხისგან არჩეულ წარმომადგენლებს

მაშ რაღანაირად შეგვიძლია მოვთხოვოთ მისი შემოღება თვით ბიუროკრატიას, როგორ უნდა მივთხოვოთ ბიუროკრატიას, რომ მან იკისროს ის საქმე, რომლის შესრულებაც მას არ შეუძლია სრულებით!

ხალხის წარმომადგენლები საჭირონი არიან ამჟამად—მაგრამ ბიუროკრატია ცდილობს საყოველთაო საარჩევნო სისტემა არ შემოიღოს, ბულიგინის კომისიას უკვე გამოუთქვამს ეს აზრი, და სხვა ბიუროკრატიული დაწესებულებანიც ამავე აზრს დაადგებიან...

რა ჰქნას ხალხმა? შეიძლება, ეს კუდმოკვეცილი საარჩევნო უფლებაც მიიღოს ხალხმა იმისთვის, რომ მერე ახლად არჩეულმა ხალხის წარმომადგენელმა შემოიღოს საყოველთაო საარჩევნო უფლება მომავლისათვის...

შეიძლება ამ კუდ-მოკვეცილ უფლებაზე უარი განაცხადოს საზოგადოებამ და დაიძახოს: ან სულ, ან არაფერი, და ისევე მიჰმართოს ძალას... (რ.).

ვ. კუზმინ-კარავაევი.

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლა

(პედაგოგიურ საბჭოს მოხსენების გამო).

(წერილი რედაქციის მიმართ)

„ვინც სახნავი უკუღმართად,
მრუდედ ხნას და სთესოს, ფარცხოს,
ის მე პურსა ნუღარ მაჭმევს,
რაც იმ ფქვილით გამოაცხოს“.

გასაახლებლად მომზადებულ ცხოვრების სხივმა ყველგან შეაშუქა, ყველას თვალები მოაფშვნეტინა. შეაშუშხა ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის პედაგოგიური საბჭოც და, ნიშნად გამოღვიძებისა, თავისი მოხსენება „სკოლის რეორგანიზაციის პროექტი“ გამოჰფინა „ივერიის“ ფურცლებზე. მერე რა უნდათ, რას თხოულობენ ამ უზარმაზარ ფელეტონში ეს ყოვლის მომთმენი პედაგოგები? ამის პასუხი სულ უბრალოა, მარტივი, და ერთის სიტყვით გამოითქმება:—ისინი თხოულობენ სკოლის ავტონომიას. მერე რისთვის დასჭირებიათ მათ ეს ავტონომიაო?—იტყვით. მთელი პროექტი არის შედეგი უკმაყოფილებისა, რომელიც არსებობს ქართველ საზოგადოებაში სათავად-აზნაურო სკოლის პედაგოგების მიმართ და რომელმაც თავი იჩინა გასულ წელს თვით მოწაფეებშიაც. ამ აშკარა ამბავს ვერც საბჭო მალავს და თავის მოხსენებაში ერთ ალაგას ამბობს: „დღეს, როდესაც ყველანი დარწმუნებულნი ვართ, რომ სკოლის ნაყოფი ძლიერ მცირეა, როცა სკოლა თითქმის უმოქმედობის გზას დასდგომია და უმოწყალოდ ამახინჯებს ჩვენს მოსწავლე თაობას, ვიმეორებთ, დღეს რომ საზოგადოებამ არ ისარგებლოს იმ უფლებით მაინც, რომელიც მას ხელთ არის, ეს დიდი დანაშაული იქნება ჩვენის მხრით“.

სამწუხაროდ, სკოლის ასეთს დაქვეითებაში უმთავრესად ბრალი ედებათ მის ხელმძღვანელებს, მასწავლებელთა და აღმზრდელებს, რადგან ისინი იმასაც კი არ აკეთებდნენ, რის გაკეთებაც შეეძლებოდა არსებულ პირობებში...

ვინც არ იცოდა, ეხლა ამ „მოხსენებიდან“ გაიგო, რომ ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლაში ქართული ენა მთავარ საგნად არ ყოფილა მიჩნეული, მასწავლებლებს ხელმძღვანელობა არ გაუწევიათ შეგირდებისათვის კლას გარეშე გონივრულად წიგნების კითხვაში. სკოლის მასწავლებელთ დრო-გამოშვებითაც კი არა ჰქონიათ მსჯელობა პედაგოგიურ საბჭოს კრებებზე ჭეშმარიტ პედაგოგიურ ზომების შესამუშავებლად, არა ჰქონიათ კრებებზე საგულისხმიერო საკითხების შესახებ აზრთა გაზიარება, საგნების სწავლებაში არა ყოფილა დამკვიდრებული კავშირი და ერთსულობა. მასწავლებელნი და მოსწავლენი ერთმანეთისაგან ძალიან დაშორებულნი ყოფილან და სხვა, და სხვა.

ვკითხულობთ ყველა ამას და გაოცებული ვრჩებით... ვინ ან რა უშლიდა ჩვენის სკოლის პედაგოგებს, ეს უკუღმართობანი თავიდან მოეშორებინათ და ისე მაინც მოეწყოთ ყრმათა აღზრდის საქმე, როგორც სხვა კერძო თუ მთავრობის სკოლებშია მოწყობილი?—ავტონომიობა? სკოლის კომიტეტი?

ჩვენ სრულებით აზრად არა გვაქვს კომიტეტს მეურვეობის კალთა გადავაფაროთ, მაგრამ სიმართლე მოითხოვს ვაღიაროთ საქვეყნოდ, რომ უკანასკნელ 13—14 წლის განმავლობაში მაინც კომიტეტი სრულებით არ ერეოდა სწავლა-აღზრდის საქმეში და ამრიგად სკოლის ბატონ-პატრონი იყო ინსპექტორი და პედაგოგიური საბჭო. სკოლის სათავსო ნაწილსაც განაგებდა მასწავლებელთა მცირე კომისია, ინსპექტორისავე თავმჯდომარეობით.

ეხლა, როდესაც მთელი საზოგადოება გამოფხიზლდა, როდესაც მოწაფეთა გონიერმა ნაწილმა შეიგნო სკოლის გათახსირების მიზეზები, როდესაც დადგა განკითხვის დღე სკოლის ფაქტიურ გამგეობისა,—ახლა კი მუნჯი პედაგოგიური საბჭო იდგამს ენას თავის თავის გადასარჩენად, სთხზავს დიდ პროექტს და ცდილობს დაარწმუნოს საზოგადოება, რომ სკოლის უნაყოფობაში ის სრულიად უდანაშაულოა, და თან ცალის თვალით კომიტეტისაკენ იხედება, ვითომ-და კომიტეტი არის თქვენი დამღუპავიო.

მაგრამ ასეთ თავის მართლებას ჩვენს პედაგოგებს არავინ დაუჯერებს. დიდი უმრავლესობა იმ დარბაისელ პედაგოგიურ საბჭოს წევრებისა, რომელთაც ახლა სკოლის რეორგანიზაციის პროექტი გამოაქვეყნეს, გუშინ არ მობძანებულან სასწავლებელში,—ბევრს მათგანს აქ გამოერია ჭაღარა და თითო-ორთოლამ პენსიაც კი დაიმსახურა. მიუხედავად ამისა, დღემდის ხმის ამოღება აზრად არ მოსვლიათ.

სად იყო ეხლანდელ პროექტის შემთხზველი საბჭო, მაგალითად, მაშინ, როდესაც კომიტეტი ამა თუ იმ მასწავლებელს და აღმზრდელს აძევებდა სასწავლებლიდან მხოლოდ იმიტომ, რომ იგი გუნდრუკს არ უკმევდა იმათ „ღმერთებს“, დაიარებოდა ან თანამშრომლობდა მათგან ათვალწუნებულ ქართულ რედაქციაში, რომელიც ჩინოვნიკურად არ ექცეოდა შეგირდებს და თანამედროვე კითხვების შესახებ ესაუბრებოდა მოწაფეებს?.. ბევრმა იქნება არც კი დაიჯეროს, რომ სათავად-აზნაურო სკოლაში ადგილი აქვს მუნჯურ მეთოდის საშუალებით ბავშვების დამახინჯებას: აგერ ცხრა წელიწადია, რაც ამ სკოლის მოსამზადებელ და პირველ კლასებში მასწავლებლობს ქართულ ენის არ მცოდნე პირი (ბ-ნი კორხანიძე), რომლის მოღვაწეობა იმითიც არის ცნობილი, რომ იგი ადგენს რუსულ ენის სახელმძღვანელოებს ქართულ სკოლებისთვის ვოსტორგოვისა და კომპანიის გემოვნებაზე. რატომ ხმა არ ამოიღო სკოლის პედაგოგიურმა საბჭომ, თუ მართლა ყმაწვილებისთვის გული შესტკიოდა, როდესაც მოსამზადებელ კლასში ისეთი მასწავლებელი დანიშნეს, რომელმაც ბავშვების ენა სრულიად არ იცოდა?!.

ქართველი მასწავლებელი.

ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდეს.

(წერილი რედაქციის მიმართ)

როგორც გუშინ ვწერდით, ბანკს წელსაც აუცილებლად დარჩება გაუყიდავი მამულები, რომელთა საერთო ფასი, უეჭველია, ორ მილიონ მანათს გადააცილებს.

ამდენ მამულების მართვა-გამგეობა, რა თქმა უნდა, ადვილი საქმე არ არის და აწ არსებული ორგანიზაცია ბანკზე დარჩენილ მამულების მართვა-გამგეობისა ვერ დააკმაყოფილებს ამ საქმის საჭიროებას. ამიტომ სრულებით გასაგები და პატივსადებია ბ-ნ ალ. კობიაშვილის აზრი, რომ უკვე დარჩენილ და მომავალშიაც დასარჩენად მოსალოდნელის მამულების ბედ-იღბალი ჩაბარდეს განსაკუთრებულ კომისიას, რწმუნებულთა შორის არჩეულს.

მართლაც, ეგოდენის მამულების მართვა-გამგეობა, მათი პატრონობა და მოვლა განსაკუთრებულს ძალღონეს მოითხოვს ბანკის გამგეობისაგან, რომელიც, როგორც ეს კრებებზე გამოირკვა, არა თუ ზედმეტ დავალებასა და საქმეს ვერ იკისრებს, არამედ მორიგ საქმეთაც კი ვერ უძლებს. ამიტომ ჩვენ სრულებით საფუძვლიანად მიგვაჩნია კრებაზე გამოთქმული აზრი, რომ დარჩენილ მამულების მომვლელ-გამგებლად არჩეულ იქმნას კერძო კომისია და მას ჩაბარდეს ბანკზე დარჩენილ მამულების მოვლა, გამგეობისა და ზედამხედველ კომიტეტის ხელმძღვანელობით.

ამ შემთხვევაში ჩვენ ბანკის რწმუნებულთა ყურადღებას მივაქცევთ ერთს ფრიად საყურადღებო გარემოებას. საქმე ის არის, რომ ამ ათიოდე წლის წინად ტფილისში დაარსდა ინტელიგენტთა პატარა წრე, რომელსაც ეწოდებოდა «აღმშენებელი ამხანაგობა» და რომელსაც საგნად ჰქონდა თავის წევრებისათვის ქალაქ ტფილისში უძრავ-მოძრავ მამულების შეძენა.

სამწუხაროდ, ზემოდ ხსენებულმა წრე, მიუხედავად იმისა, რომ 5000 მანათიც კი შეაგროვა და წესდებაც შეიმუშავა, წელში ვერ გაიმართა და მალე არსებობაც შესწყვიტა. მაგრამ იმ წრის იდეალები და სურვილი სანატრელი და თანაგრძნობის ღირსიაახლაც, როგორც ამ ათის წლის წინად...

ამიტომ, ჩვენის აზრით, შესაძლებელიც არის და ფრიად ადვილიც —მომავალმა კომისიამ ისარგებლოს საზოგადოებაში უკვე არსებულის სურვილით, ზემოდ მოხსენებულ „საალმშენებლო ამხანაგობის“ იდეალების განხორციელებას ხელი შეუწყოს და დროებით დავიწყებული საქმე ხელახლად აღორძინოს.

ორ-სამ მილიონად ღირებული ქალაქის მამულები ადვილად შეიძლება შეღავათიანის პირობებით და, რა თქმა უნდა, ბანკისათვის უზარალოდ შესყიდულ იქმნეს ქართველებისაგან და ამგვარად გამრავლდეს ქალაქში რიცხვი ქართველ მესაკუთრეთა. ეს ოპერაცია არც ისე რთულია, რომ ვინმე დააშინოს და იმავე დროს ფრიად საჭიროა და, თუ გნებავთ, სავალდებულოც ჩვენის ბანკისათვის... საკმარისია მოვიგონოთ პოლონეთის ბანკები და მისი ტენდენციები.

თუ რწმუნებულთა კრება ჩვენგან აღნიშ პრინციპს იწამებს, მაშინ დაუყოვნებლივ შეიძლება არჩეულ იქმნას კომისია საქმის ყოველ მხრივ და დაწვრილებით გამოსაკვლევად და ცხოვრებაში განსახორციელებლად ბანკისავე საკეთილდღეოდ და ქართულ ინტერესთა სასარგებლოდაც.

ტასიაშვილი.

რუსეთი

მომავალი საერო კრება. „ნოვოე ვრემია“-ში რამდენიმე წერილი დაიბეჭდა მომავალ

ნების-კარის“ მესამე განყოფილება ითვლებოდა. მაგრამ, რადგან ეს სახელმძღვანელო ჩვენის სკოლის საისტორიო პროგრამას ვერ აკმაყოფილებს, ქართულ ენის მასწავლებელმა ბ-მა არ. ქუთათელაძემ ამ რამდენისამე წლის წინად საჭიროდ სცნო საკუთარი სახელმძღვანელო შეედგინა, მაგრამ ეს სახელმძღვანელო დღემდე სათანადო მთავრობისაგან მოუწონებელი და დაუმტკიცებელია, რის გამოც მასწავლებელი იძულებულია მოსწავლეებს, რასაც ასწავლის, ყველაფერი რვეულებში ჩააწერინოს და ისედაც მცირე დრო კიდევ უფრო შეუმციროს, ხოლო შრომა გაუდიდოს და დაუმძიმოს.

რაც შეეხება სისტემატიურ კურსს, როგორც ჩვენმა წინამოადგილეებმა გადმოგვცეს, ამას უკანასკნელ დრომდე ზოგიერთ კლასში სულხან ბარათაშვილის „რვეულებით“ ასწავლიდნენ, ზოგან სწერდნენ და ზოგანაც ბ-ნ მ. ჯანაშვილის წიგნში გადიოდნენ.

მაგრამ ვინც ჩვენს საისტორიო მეცნიერების განვითარებას თვალს ადევნებს, ადვილად დაგვეთანხმება, რომ ბარათაშვილის „რვეულები“ შინაარსის მხრით დღეს ნახევრად მაინც დაძველებულად უნდა ჩაითვალოს. ამასთანავე ეს შრომა დაუმთავრებელიც არის.

დაძველებულია შინაარსის მხრივ ბ-ნ ჯანაშვილის წიგნიც, რადგან იგი „ქართლის-ცხოვრებისა“ და ვახუშტ-ბატონიშვილის „ისტორიის“ პირდაპირს შემოკლებას უფრო წარმოადგენს, ვინემ ისტორიულ მოვლენათა სისტემატიურ-პრაგმატიულს მიმოხილვას. ამ წიგნში ომების აღწერას, ისტორიულ სახელებსა და წლებს უფრო მეტი ადგილი უკავია, ვინემ მოვლენათა მიზეზ-შედეგების გარკვევას და ხალხის შინაურს—ეკონომიურ, სოციალურ, პოლიტიკურ, ზნეობრივ და გონებრივ ვითარების აღწერას.

მოკლედ რომ მოვსჭრათ, ბ ნ მ. ჯანაშვილის წიგნი ეპიზოდიურ კურსისათვის დიდია, სისტემატიურისათვის კი—ფრიად მცირე და შეუფერებელი.

დასასრულ, არ შეგვიძლია, ერთს გარემოებასაც არ მივაქციოთ ყურადღება.

როგორც მოწაფეებისაგან, ისე დიდებისგანაც არა ერთგზის გვსმენია შემდეგი მსჯელობა: რატომ თვითონ ჩვენი მასწავლებლები არ ადგენენ სახელმძვანელოებს? ეს ხომ პირდაპირ მათი მოვალეობა არისო?

რომ სახელმძღვანელოს შედგენა უმთავრესად მასწავლებლის მოვალეობაა, ამის წინააღმდეგ, აბა, ვის რა ეთქმის? მაგრამ როცა საამისოდ მასწავლებელს არც საკმაოდ შემუშავებული მასალა მოეპოვება და არც საჭირო მოცალეობა აქვს, მაშინ კი, არ ვფიქრობთ, ასეთი მასწავლებელი აღნიშნულ მოვალეობის აუსრულებლობისთვის სერიოზულად დასძრახოს და გაჰკიცხოს ვინმემ. ამას გარდა, დღემდე საქმე ისე იყო მოწყობილი,—და შეიძლება რამდენსამე ხანს შემდეგშიაც ასევე დარჩეს,—რომ არ კმაროდა კაცს სახელმძღვანელო შეედგინა. არსებული სისტემა მოითხოვდა, ყოველი სახელმძღვანელო, სანამ ხმარებაში შევიდოდა, სათანადო მთავრობას წარდგენოდა მოსაწონებლად. ამ მთავრობას კი სახელმძღვანელოთა დასაფასებლად სრულიად თავისებური საზომი ჰქონდა.

რომ ჩვენი სკოლის ქართულ ენის მასწავლებლებს საკმაო მოცალეობა არა ჰქონებიათ, ეს, ვგონებთ, საკმაოდ გავარკვიეთ, როცა პირველ წერილში მასწავლებლის ნივთიერს მდგომარეობას შევეხეთ. ხოლო, რომ ჩვენი სალიტერატურო და საისტორიო მასალა ჯერ-ჯერობით მეცნიერულად შემუშავებული არ არის,—ესეც, ვგონებთ, ყველა შეგნებულ ქართველისათვის ცხადი ჭეშმარიტებაა. ამ მხრით ყველაზე უფრო უნუგეშო მდგომარეობაში ჩვენი საისტორიო მეცნიერება იმყოფება. მაგალითად, დღემდე არა თუ მეორე ხარისხოვან მეფეებისა და მმართველებისა, თვით ისეთი ცნობილ პირების ქრონოლოგიაც კი არაა საბოლოვოდ გარკვეული და დადგენილი, როგორიც, მაგალითად, მირიან-მეფე და ვახტანგ-გორგასლანია. ბევრს ჩვენებურ მკლევარს დღესაც სარწმუნო ამბად მიაჩნია, ვითომც საქართველოში ქრისტიანობის ნებადართულ სარწმუნოებად გამოცხადება მირიანის დროს იმ სასწაულების შედეგი ყოფილიყოს, რომელთაც რომაელი ისტორიკოსი რუფინი და წმ. ნინოს „ცხოვრება“ მოგვითხრობს.

ტიპიურ მაგალითს იმისას, თუ როგორ ეპყრობოდა მთავრობა ქართულ ენის სახელმძღვანელოთა დამტკიცების საქმეს, გრ. ყიფშიძისა და ყოვლად-სამღვდელო კირიონის „თეორია სიტყვიერებისა“ წარმოგვიდგენს. მთავრობამ ეს წიგნი არ მოიწონა არა იმიტომ, ვითომც იგი ცუდად ყოფილიყოს შედგენილი, არამედ იმიტომ, რომ „ჩვენს რაიონში არ გვეგულება ისეთი საშუალო სასწავლებელი, სადაც სიტყვიერების თეორიის შესწავლა ქართულად იყოს საჭიროო“. ნამდვილად კი აღნიშნულ საგანს, როგორც მეორე წერილში მოვიხსენიეთ, ჩვენს სკოლაში ქართულ ენის გაკვეთილებზედაც ასწავლიდნენ.

ცხადია, ასეთს პირობებში თვით გენიოს მასწავლებელსაც კი ხალისი დაეკარგება და ძლიერ გაუჭირდება რიგიანი სახელმძღვანელო შეადგინოს. საამისოდ ერთი კაცის შრომა არ კმარა. საჭიროა, რამოდენიმე მასწავლებელნი შეერთდნენ, შრომა გაინაწილონ და, სპეციალურ გამოკვლევათა და მკვლევართა დახმარებით, ერთის ან ორის წლის განმავლობაში ერთი სახელმძღვანელო მაინც შეადგინონ. მაგრამ ყველაზე უწინ საჭიროა: ერთის მხრით, მოისპოს დღემდე არსებული სისტემა სახელმძღვანელოთა მოწონებისა. ამას ავტონომიური საპედაგოგო საბჭო უნდა განაგებდეს და არა სკოლის გარეშე მდგომი, პოლიტიკანობით გამსჭვალული, დაწესებულება და, მეორე მხრით, თვით მასწავლებლებსაც მეტი თავისუფალი დრო მიეცეთ, ე. ი. ნივთიერად იმდენად იქნენ უზრუნველ-ყოფილი, რომ მატერიალურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად შემოსავლის ძებნა სკოლის გარეშე არ დასჭირდეთ.

ძლიერ ვწუხვართ, რომ უკანასკნელ წერილსაც ისეთისავე საანბანო ჭეშმარიტებით ვათავებთ, რითაც პირველი წერილი გავათავეთ, მაგრამ, რა ვქნათ, რომ ჩვენი საზოგადოება ჯერ კიდევ, ნახევრად მაინც, რაინდულ-იდეალისტურის ხასიათისაა, საზოგადო მოღვაწისაგან თითქმის ყველგან და ყველაფერში „უანგარო“ შრომას თხოულობს და ის კი ავიწყდება, რომ ქვეყნად ჯერ არ ყოფილა ისეთი საზოგადო მოღვაწე, რომელიც თავის ნახევარ არსებით „მიწაზე« არ ყოფილიყოს მიკრული, მატერიალურ პირობათა გარეშე მდგარიყოს და ნივთიერ მოთხოვნილებათათვის, თავის დროისა და წრის შესაფერად, ანგარიში არ გაეწიოს. მაგრამ ყველაფერზე უფრო საგულისხმო ის გარემოებაა, რომ, ამ უბრალო ჭეშმარიტების დავიწყებით, ბევრი ჩვენი საზოგადო საქმე დღესაც კუს ნაბიჯით მიჩანჩალებს.

ვუსურვებთ ჩვენი სკოლის პატრონთ,—საქმეს საღის თვალით შეხედონ და ეს საშვილიშვილო დაწესებულება ყოველ მხრივ მტკიცე ნიადაგზე დაამყარონ.

ს. გორგაძე

საერო კრების შესახებ, რომელსაც ოფიციალურად სახელმწიფო რჩევა (государственная дума) ეწოდება. ეს წერილები ნაწყვეტებია ბულიგინის პროექტიდან. აი, რამდენიმე საინტერესო მუხლი ამ პროექტისა:

„ამომრჩეველებს ნება არა აქვთ თავიანთ დეპუტატებს რაიმე საქმე დაავალონ, ან ანგარიში მოსთხოვონ".

„თუ დეპუტატი გაკოტრდა, ან ქონებრივი ცენზი დაჰკარგა ან სასამართლოში გამტყუნდა (შერცხვა)—დეპუტატის წოდებას ჰკარგავს. თუ სამართალში იქმნა მიცემული—დროებით სახელმწიფო რჩევის სხდომებს აღარ ესწრება".

საარჩევნო ოლქები მეტის-მეტად დიდია. პროექტის ეს მუხლი ოთხ აზრს გამოსთქამს, საიდანაც სჩანს, რომ თითო დეპუტატი 250—300 ათას კაცზე მოდის). თუ ამის მიხედვით ვიანგარიშეთ, პროექტის პირველ წინადადებით, სახელმწიფო რჩევაში იქნება 469 დეპუტატი, მეორე წინადადებით—503, მესამით—377, მეოთხით—420.

პირველ წინადადებით, ევროპის რუსეთს ეყოლება 360 დეპუტატი, პოლონეთს—34, კავკასიას—30, ციმბირს—19, შუა აზიას—26. მეორე წინადადებით, ევროპის რუსეთს ეყოლება 377, პოლონეთს—36, კავკასიას—35, ციმბირს—22 და შუა აზიას—27. მესამე წინადადებით, ევროპის რუსეთს ეყოლება 293, კავკასიას კი 23.

◆ 9 ივნისს ვარშავაში დემონსტრაციის დროს უცნობმა **კაზაკებს ყუმბარა ესროლა. მოკვდა 1 და დაიჭრა 51 კაზაკი** (ნ.).

◆ რომნას საქალაქო სასწავლებელში მოწაფეებს დიდი **არეულობა მოუხდენიათ**. პოლიციას რამდენიმე მოსწავლე დაუპატიმრებია, მაგრამ გზაში ამხანაგები დაეცნენ და გაანთავისუფლეს (ნ. ვ.).

◆ 10 ივნისს, მინისტრის გლაზოვის თავმჯდომარეობით, საერო განათლების სამინისტროს წევრებს კრება ჰქონიათ. ამბობენ, კრება იმ აზრისაა, რომ უმაღლეს სასწავლებლებს **ავტონომია მიენიჭოს**. სასწავლებლები თვითონ აირჩევენ პროფესორებს, დეკანებსა და რექტორებს, რომელნიც მაინც ისევ სამინისტრომ უნდა დაამტკიცოს (რ. ვ.).

◆ საერო განათლების სამინისტრომ გიმნაზიების უკანასკნელ კლასებისთვის **ახალი სამოსწავლო გეგმა** შეიმუშავა. მე-7 და მე-8 კლასებში ბერძნულ ენის მაგიერად ასწავლიან ორ ახალ საგანს: ფილოსოფიურ პროპედევტიკას (კვირაში 2 გაკვეთილი) და კანონების შესწავლას (3 გაკვეთილი). უფროს კლასებში ასწავლიან უფლებათა თეორიას (теорія права) და მატერიალურ უფლებებს (матеріальное право). ამ საგნების მასწავლებლებად მოწვეულ იქმნებიან სასამართლოს მოხელეები—იურისტები. აგრეთვე დიდ ყურადღებას მიაქცევენ ფიზიკისა და ფრანგულ და გერმანულ ენების სწავლას. უფროს კლასებში ახალ კლასიკებს შეისწავლიან—გოგოლიდან დაწყებული თანამედროვე მწერლობამდის. ამ გეგმას მე-7 კლასში ამ შემოდგომაზე შეიტანენ, მერვეში—მომავალ წლიდან (რ. ვ.)

◆ გუშინ-წინ მოსკოვში დაიწყო კრება სრულიად-რუსეთის ერობებისა და ქალაქების წარმომადგენლებისა. ამ კრებაზე ებრაელებს წინადადება შეაქვთ, რომ კრებამ თავისი აზრი გამოსთქვას **ეროვნულ და სარწმუნოების თანასწორობის შესახებ**. კრება ამ საგანსაც შეეხება. (რ.).

◆ ხარკოვის ინჟინრებმა კრებაზე დაადგინეს, შრომისა და კაპიტალის შეჯახების დროს **კაპიტალის დაცვა იარაღით** ინჟინერის პატიოსნებას არ შეეფერებაო (რ. ვ.).

◆ ცნობილი **მოღვაწე ჩარნოლუსკი სამართალში მისცეს** იმისთვის, რომ იმან სახალხო მასწავლებლების კავშირი შეადგინა. ამ კავშირის შედგენაში მონაწილეობას იღებდნენ თ-დი დოლგორუკოვი, თ-დი შახოვსკოი პეტრუნკევიჩი, როდიჩევი, თავ. ლვოვი (ყველანი 6 ივნისს დეპუტატებად იყვნენ ხელმწიფესთან) და სხ. ყველა ამათ თხოვნა შეიტანეს სასამართლოში, ჩვენც სამართალში მიგვეცით, რადგან ჩვენც ვიღებდით მონაწილეობას მაგ საქმეშიო. ამჟამად ყველა კავშირების წევრები სთხოვენ სასამართლოს, ნურც ჩვენ აგვიქცევთ გვერდსა და გაგვასამართლეთო. ამრიგად, სასამართლოს გაუჩნდა ახალი, უმაგალითო პოლიტიკური საქმე, რომელშიაც რამდენიმე ათასი კაცი იღებს მონაწილეობას (რ. ვ.).

◆ მთავრობამ სამართალში მისცა პეტერბურგის ერთ გაზეთის რედაქტორი, რომელსაც ის ბრალი ედება, რომ იგი ქარხნებში დადიოდა და **თავის გაზეთს მუშებს უფასოდ ურიგებდა**. ამ ნომერში რამდენიმე წერილი იყო მუშების შესახებ (რ.).

◆ ის **ჯარი**, რომელიც პეტერბურგში სდგას, **უნდა შესცვალონ** (ნ. ქ.).

◆ განსვენებულ პლევეს შვილი, კამერ-იუნკერი **პლევე ჩივილს უპირობს** რამდენსამე რედაქტორს, რომელთაც ცუდად მოიხსენიეს იმისი მამა (რ.).

◆ რიგის მახლობლად უპოვნიათ გვამი 19 წლის ქალისა, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, რამდენსამე კაცს **ჯერ გაუუპატიურებია და მერე დაუხრჩია**. მოკლულს ყელში დაშლილ მათრახის თასმა ება, სწორედ ისეთი თასმა, რომელსაც კაზაკები ხმარობენ (რ. ვ.).

◆ 5 ივნისს, საღამოს 9 საათზე, ლოძში ახალგაზრდა ყმაწვილებსა და ჯარს შეტაკება მოუვიდათ. ჯარმა იარაღი იხმარა. **10 კაცი მოკლა და 40 დასჭრა.**

* * *

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა კრება

(16 ივნ. ღამის კრება)

თავმჯდომარემ, თავ. დ. ჩოლოყაშვილმა, კრება საღამოს 8 საათზე დაიწყო და რწმუნებულთ მიმართა: საყვედურებს ვიღებ: კრებებს აგრძელებთო. აი, ახლა, ჩაწერილია რამდენიმე ორატორი, რომლებიც ახლა აქ არ არიან. როგორა ვქნა, მივსცე მათ შემდეგში სიტყვის ნება, თუ მოვუსპო? (ხმებია: აღარ მისცეთ ნება, საქმე გამორკვეულია, სათქმელი აღარაფერია!) **თავ. ა. ნ. დიასამიძე** შენიშნავს, რომ კრებას არ შეუძლიან ამ საკითხის გარდაწყვეტა; ვინც ჩაწერილია სიტყვის ნება უნდა მიეცესო. **თავმჯდ.**—მე, ჩემის უფლებით, აღარ ვაძლევ მათ სიტყვის ნებას.

ა. ი. სარაჯიშვილი ამტკიცებს, რომ გამგეობა სცდება, როდესაც ამბობს, დამფასებელ კომისიას კონტროლს ვერ გავუწევთო. გამგეობა თავს იმით მართლულობს, რომ გამგეობაშიც ისეთივე ადამიანები არიან, როგორც დამფასებელ კომისიაში, და შეცდომა იმათაც მოუვათო. ეტყობა კონტროლი აღარ არსებობს დედამიწაზე და არავითარ დაწესებულებაში იგი საჭირო აღარ ყოფილაო. დასასრულ ორატორი ჰკითხულობს: ვიდრე თვით რწმუნებულებმა არ მოითხოვეს, ბანკის ორგანოებმა რატომ არ აცნობეს საზოგადოებას ბანკის საქმეების ვითარებაო? **თავ. ი. გ. ჭავჭავაძე** უპასუხებს, ბანკის ორგანოების მოხსენებანი შარშან დაიბეჭდა და საზოგადოებას წარედგინაო. **თავმჯდომარე** დასძენს, ეს მოხსენებანი დაბეჭდილი იყო, მაგრამ, კრების დადგენილებით, წაკითხულ არ იქმნაო. რწმუნებულნი თხოულობენ ამის შესახებ ოქმების წაკითხვას.

თავმჯდომარე ეძებს ამ ოქმებს. **თავ. ი. გ. ჭავჭავაძე.** არ მესმის, რაზე გვაცვით ჯვარზე. ჩვენ ისეთი აზრი გვაქვს, რომ დამფასებელი კომისია საკუთრივ უნდა მოქმედებდეს. დამცინიან აგრეთვე, რომ მე, თავის გასამართლებლად, გერმანიისა და სხვა ბანკებზე ვუთითებ და ძალითები მომყავს... მე ჩემს საკუთარს აზრს ვამბობ და მარტო იმიტომ, რომ ჩემი საკუთარი მსჯელობა მაქვს, ბოროტ-მოქმედი ვარ? ბატონებო, დღესვე დავანებებ სამსახურს თავს, თუ ჩვენ მავნე პირებადა გვთვლით!.. **თავ. მ. ა. გრუზინსკი.** მე წინააღმდეგი ვარ კონტროლისა!.. **ვ. ა. სარაჯიშვილი** (სიტყვას აწყვეტინებს) თავადო, გასაკვირველი საქმეა, აქ ამის შესახებ 70 კაცმა თავისი აზრი გამოსთქვა, და თქვენ კი თქვენსას არ იშლით!.. **ა. ი. სარაჯიშვილი** (თავმჯდომარეს). რა უყავით ოქმები? წაიკითხეთ!.. **თავმჯდომარე.** დიდი მადლობელი ვარ, თავმჯდომარედ რომ ამომირჩიეთ, მაგრამ თუ თქვენ მჭამებთ, რომ მე ვისმე ვუდგები, თავმჯდომარეობას ახლავე თავს ვანებებ. მე ვეძებ ოქმებს, ვიპოვნი და წაგიკითხავთ. ბ-ნი **სარაჯიშვილი და რწმუნებულნი.** არ ვიცოდით, თუ ოქმებს ეძებდით... ძალიან ეჭვი კი გვაქვს, რომ არავის არ ემხრობოდეთ!.. **თავ. პ. ა. გრუზინსკი** იმ აზრისაა, რომ დამფასებელი კომისია ან უნდა სულ გაუქმდეს, ან არა და საკუთრივ უნდა მოქმედობდესო. **თ. ს. რ. ვახვახიშვილი** ვრცელს სიტყვაში ამტკიცებს, რომ ბანკის ზარალის მიზეზი იფარება იმ დამოკიდებულებაში, რომელიც გამგეობასა და დამფასებელ კომისიას შორის სუფევსო. გამგეობასა და დამფასებელთა შორის ფარული ბრძოლაა გამართული. დამფასებელმა კომისიამ იცის, რომ, რანაირი აქტიც უნდა წარუდგინოს, გამგეობა ფულს შეამოკლებს, გაანახევრებს და ამიტომ ყოველთვის გადაჭარბებულ ფასებს სწერენო. **თავ. ლ. ჩერქეზიშვილი** ამ მოსაზრებას არ ეთანხმება.

კრება გადაიდო დილის 10 საათისთვის.

(17 მაისის კრება)

კერძო ხასიათის კამათის შემდეგ, **თავ. ი. გ. ჭავჭავაძე** შენიშნავს: კერძო კამათით საქმე ვერ გაკეთდებაო, და თავმჯდომარეს სთხოვს: ჯერ ერთი რომელიმე საკითხი დააყენოს, გამოარკვიოს და შემდეგ მეორეზე გადავიდეს. თავმჯდომარემ დააყენა საკითხი: აქვს თუ არა უფლება ბანკის გამგეობას დამფასებელ კომისიის მოქმედებას ფაქტიური კონტროლი გაუწიოს? ამ საკითხის შესახებ **თავ. ი. გ. ჭავჭავაძე** ამბობს, ეს საკითხი ბევრჯელ წამოყენებულაო. სამინისტრომაც აღძრა ეს საკითხი და ამის შესახებ მიწერილობაც მოგვივიდა, მაგრამ ჩვენ ვუპასუხეთ, დამფასებელი კომისია განსაკუთრებული ორგანოა და ჩვენ უფლება არა გვაქვს ფაქტიურად კონტროლი გავუწიოთო. ამით ჩვენ საქმეს ვერ ვუშველით, უფრო წავახდენთ, რადგან ეს კომისიისადმი უნდობლობას მოწმობს, უნდობლობა კი საქმეს სარგებლობას ვერ მოუტანსო. თავ. ჭავჭავაძის აზრით, გამგეობას არ შეუძლიან თავზე იდოს ეს მოვალეობა, რადგან ისედაც ბევრი საქმე აქვს და, გამგეობის წევრებმა კონტროლის გასაწევად აქეთ-იქით რომ იარონ, სხვას ვეღარაფერს გააკეთებენო. მთელის ქვეყნის ბანკები იმ საკითხის გამო, რომ მამულები მეტ ფასში არ გირავდებოდეს, თავს იმტვრევენ, მაგრამ ვერაფერი გამოუგონიათ. თუ თვითონ დამფასებელი პატიოსანი და მცოდნე კაცი არაა, ბანკი ყოველთვის იზარალებსო. შემდეგ თავ. ჭავჭავაძე შეეხო ზოგიერთ ორატორების ნალაპარაკევს და საგანგებო კომისიის მოხსენებას და ის აზრი გამოსთქვა, რომ ფრაზები ბევრი იყო, მაგრამ ის კი არავინ გვიჩვენა, საქმეს როგორ ეშველოსო. **თავ. ა. ზ. ჩოლოყაშვილი.**—თავ. ჭავჭავაძე ამტკიცებს, ფაქტიური კონტროლი ბანკისთვის საზარალოაო და დამფასებელ კომისიას მუდამ ყურში ჩასძახის: შენ განსაკუთრებული ორგანო ხარ, მე კონტროლის გაწევის ნება არა მაქვს, როგორც გინდა, ისე მოიქციო. საზარალო, აი, ეს გარემოებაა. დამფასებელმა იცის, რომ მას სრული თავისუფლება აქვს მიცემული, ყურის მგდებელი არავინა ჰყავს და, როგორც სურს, მამულს ისე აფასებს. ამას ამტკიცებს სახლები ზიხისა, ბეკ-ხანოვისა და ბაბაევისა, რომელნიც ერთი-ორად და სამად არიან დაფასებულნი. დამფასებელს რომ სცოდნოდა, წამოვა ვინმე, ამ სახლებს დაათვალიერებს და ტყუილში დამიჭერსო, ეს საქმეც არ მოხდებოდაო. თავ. ჩოლოყაშვილი თხოულობს, რომ კრების ის დადგენილება, რომელიც 1897 წელს თავ. ჭავჭავაძის სურვილის თანახმად მოხდა, დაუყოვნებლივ გაუქმებულ იქმნას და, რადგანაც ბანკის წესდების ამ მუხლს, ვისაც როგორც უნდა ისე ხსნის, ჩაემატოს ისეთი განმარტება, რომელიც ბანკის გამგეობის მოვალეობას ნათელ-ჰყოფს. **თავ. გ. თარხნიშვილი** ამტკიცებს, რომ გამგეობა მოვალეა დამფასებელ კომისიის მოქმედებას კონტროლი გაუწიოს და კონტროლიც საჭირო არის. ჩვენ ყველასა გვაქვსო—ამბობს ორატორი—ან სოფელში მამული, ან ქალაქებში სახლები და გვყავს მამულის გამგე კაცები. თუ ჩვენ მათ სვინიდისზე მივაგდეთ საქმე და კონტროლი არ გავუწიეთ, არ შეიძლება მოტყუებული არ დავრჩეთო. სწორედ უკონტროლობაა მიზეზი, რომ ამ ბანკში ერთი ამხანაგი დაიღუპა და საუკუნოდ დავკარგეთო. **ბ-ნი ხრამელაშვილი** კრებას წინადადებას აძლევს, ეს საკითხი განსახილველად და გადასაწყვეტად კომისიას გადაეცესო. **თავ. პ. ა. გრუზინსკის** აზრით, ან უნდა გაუქმდეს დამფასებელი კომისია და მისი მოვალეობა ბანკის გამგეობას დაეკისროს, ან არა და, მიეცეს უფლება ზედამხედველ კომიტეტს, როდესაც რომელიმე მამული გირავდება ბანკში, კერძოდ მოჰკრიფოს ცნობები და ეს ცნობები დამფასებელ კომისიის აქტს შეუდაროს ხოლმე.

ამ საკითხს კრება საკმარისად გამორკვეულად სთვლის და თხოულობს კენჭის ყრას. **თავ. ი. გ. ჭავჭავაძე** ურჩევს კრებას, ნუ აჩქარდებიან ამ საკითხის გარდაწყვეტაში, ამ გარდაწყვეტილებას ბანკის საქმეებზე დიდი გავლენა ექმნება და ფრთხილად მოექცითო. მე გირჩევთ აირჩიოთ კომისია, მოიწვიოთ მცოდნე კაცები და ამ საკითხის გადაწყვეტაც მათ მიანდოთო.

კრება გადაიდო საღამოს 7 საათისთვის.

* * *

ქალაქის საბჭო

ხუთშაბათს, 16 ივნისს, ქალაქის საბჭომ 16 საქმე განიხილა. საქმეების განხილვამდე ბ-მა ხუდადოვმა საბჭოს ყურადღება იმ გარემოებაზე მიაქცია, რომ ამას წინად სადღვაიასა და მიხეილის ქუჩების შესართავთან ტრამვაის ვაგონმა ერთი სოფლელი კაცი გაიტანა. ეს მეორეა იმ ადგას ამისთანა შემთხვევაო—სთქვა ხმოსანმა. მიზეზად ის უნდა ჩაითვალოს, რომ იქ მიხეილის ქუჩიდან ვაგზლისკენ მიმავალი ვაგონი უხვევს. სადღვაია ქუჩისკენ და ვაგონის მოლოდინში ბევრი ხალხი იყრის ხოლმე თავსაო. ხმოსანი საჭიროდ სცნობს, რომ ტრამვაის მეთვალყურე კომისიამ ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს, იმ ადგას ვაგონიდან ვაგონში გადასვლა მოსპოს და ვაგზლისკენ მიხეილის ქუჩიდან პირდაპირი მიმოსვლა გამართოს. რაც შეეხება ვაგონით გასრესილს, საჭიროა, გამგეობამ გამოიძიოს ეს საქმე და უსახელო საზოგადოებას, თუ იგი დამნაშავე აღმოჩნდა, მოკლულის ოჯახის დასაკმაყოფილებლად ფული გადაახდევინოს, რადგან მშობლები შეიძლება ისეთი ღარიბი და გამოუცდელნიც იყვნენ, რომ საქმის გამოძიებას კვალში ვერ ჩაუდგნენო.

ამის შემდეგ საბჭო მორიგ საქმეებზე გადავიდა. სხვათა შორის, ხმოსან ესაძის მოხსენებაც განიხილა. ბ-ნი ესაძე მოხსენებაში წინადადებას აძლევს საბჭოს, რომ ხმოსნების საარჩევნო წესები ყველა ეროვნების ჯგუფთა წარმომადგენლობაზე დამყარდეს. ამ განცხადების გახსენებამ ხმოსნებში დიდი ჩოჩქოლი ასტეხა. ზოგი პროტესტს აცხადებდა: რა დროს მაგ საკითხის განხილვაა, ხმოსნების არჩევნები ხომ ორის წლის შემდეგ უნდა მოხდესო!

ამ საკითხის გამო, გამგეობის დადგენილება წაიკითხეს: ბ-ნ ესაძის განცხადება გარდაეცეს იმ კომისიას, რომელსაც ქალაქის დებულებათა შეცვლა-შესწორება აქვს დავალებული. საბჭომ ეს დადგენილება ერთხმად მიიღო.

გამგეობის მოხსენებას, ავლაბარში პროგიმნაზიის პარალელურ კლასების გახსნის შესახებ, დიდი კამათი მოჰყვა. ამ საქმისთვის წინად საბჭოს 10,000 მანათი გადაუდვია; სახალხო განათლების სამინისტრო კი თხოულობს 15,000 მანათის გადადებას. საკამათო საგნად ის საკითხი გაუხდათ,—ღირს თუ არა დღევანდელ პირობებში სკოლების გახსნა ან მისთვის ხარჯის მომატებაო. ზოგი იმ აზრისა იყო, რომ ეს საკითხი გადაიდოს იმ დრომდე, ვიდრე რუსეთში არსებული რეჟიმი არ შეიცვლებაო. კენჭის ყრით გადასწყდა ამ საქმისთვის კიდევ 5,000 მანათი გადაიდოს.

საბჭოს მოხსენდა ფუნიკულერის კონცესიონერთა შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ქალაქმა ნება დართოს, ერევნის მოედნიდან ფუნიკულერის ქვემო სადგურამდე გუდოვიჩის ქუჩით ელექტრონის ტრამვაი გაიყვანოს.

ამ საკითხის გადაწყვეტა საბჭომ ორშაბათისათვის გადასდო. მანამ კი გზას დაათვალიერებენ და აირჩევენ, მცხოვრებთათვის სად უფრო უშიშრობესია ტრამვაის გაყვანა.

ბოლოს საბჭომ გამგეობის დადგენილება განიხილა იმის შესახებ, რომ შესდგეს კომისია სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებში მოსამსახურეთა შესვენების შესახებ კანონ-პროექტის განსახილველადაო. ბევრის კამათის შემდეგ, ეს საკითხი გამორიცხეს მორიგ საქმეებიდან, რადგან, სანამ ეს კომისია ცნობებს შეჰკრებავს და განიხილავს კანონ-პროექტს, მოსალოდნელია, რომ რუსეთში ახალი რეჟიმიც დამყარდეს და მათი მდგომარეობაც ძირითადად შეიცვალოსო.

* * *

წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ საშუალება მომცეთ ორიოდე სიტყვა მოვახსენო ბ-ნ ჩიტაძეს მის წერილზე, რომელიც „ცნობის ფურცლის" 2846 №-შია მოთავსებული თქვენს გაზეთში დაბეჭდილ ჩემის წერილების ვითომდა პასუხად.

მე არას ვიტყვი, თუ რამდენად მოსახერხებელია ერთ გაზეთში პასუხის მიცემა იმ წერილზე, რომელიც მეორე გაზეთში იყო დაბეჭდილი. მე პასუხის მიცემასაც არ ვაპირობ და ბ-ნ ჩიტაძის წერილის შინაარსს ერთის სიტყვითაც არ შევეხები, რადგან წერილი მხოლოდ პირადობის ლანძღვითაა სავსე და დალაგებულ მსჯელობას სრულიად არ წარმოადგენს. ჩემს წერილებში კი პრინციპიალურად მქონდა საგანზე მსჯელობა, რამდენადაც ეს ჩემთვის შესაძლებელი იყო, და არავის პირადობას არ შევეხებივარ. ეს ბ-ნ ჩიტაძისთვის მიუწდომელი ხილი ყოფილა და მერე ისეთი, რომელიც იმ ზომამდის აღელვებს, რომ იგი უკადრის ლექსიკონსაც კი ხმარობს და ჩემი წერილების მიზანს რაღაც ჩემსავე ბოროტ-განზრახვით ხსნის,—მე ხელს ვიღებ ასეთ ოპონენტთან კამათზე. ის ლანძღვა-გინება, რომლითაც სავსეა ბ-ნ ჩიტაძის წერილი საკმარისად ახასიათებს ავტორის ფიზიონომიას.

ვსარგებლობ შემთხვევით და ბოდიშს ვიხდი პროექტის ავტორების წინაშე, რომ ჩემს წერილებში ერთ ადგილას უნებურად გამომრჩა მათ-მიერ კრებაზე გამოთქმული განცხადება: ესტეტიურ და ფიზიკურ განვითარების შესახებ მუხლების შემუშავება ვერ მოვასწარითო, ეხლა კი შევიმუშავეთ და, თუ გნებავთ, წაგიკითხავთო. კრებამ შეიწყნარა ეს მათი განცხადება.

იაკობ ღულაძე.

* * *

კორესპონდენცია

ლეჩხუმი, 13 ივნისი. 4 ამ თვეს, ღამით, მძლავრი ქარი ამოვარდა, რომელსაც თან მოჰყვა კოკისპირული წვიმა და მერე სეტყვა. მეორე დილით შემაძრწუნებელი სურათი დავინახეთ: ნიაღვარს ნათესი წაეღეკა, ეზოები გაეგლიჯა, სამზარეულო-მარნები დაენგრია და საქონელ-ფრინველები დაერჩო. სეტყვას გაუნადგურებია სიმინდი და ვენახი; ნამეტნავად დაზარალდა ს. ცაგერი-გვესი, სადაც ორა მოსახლე, მდივანი და ახვლედიანი ნიაღვარმა მთლად აჰყარა, ეზოები უზარმაზარ ქვებით აავსო და ბეღელ-მარნები მიანგრია. ბინა, სახლები და შიგ მცხოვრებნი კი გადარჩნენ. ზარალი 10—12 ათას მანათისა იქნება.

ერთის დაზარალებულთაგანს, რომელმაც ადგილობრივს ბოქაულს შესჩივლა, ამ უკანასკნელმა დაცინვით უთხრა: „ШИШЬ ПОЛУЧИШЬ"-ო, და თან თითებით აჩვენა.—„მაგაზე უკეთესი იმედი ღმერთმა ნუ მოგცესო"—წაილუღლუღა გულჩათუთქულმა გლეხმა და დაღონებული შინისაკენ გაბრუნდა.—მართალია, ახალმა მაზრის უფროსმა ბ-ნმა ელიავამ მიიარ-მოიარა ადგილები, დაათვალა ზარალი და თან შემწეობას შეჰპირდა, მაგრამ ხალხს ცარიელი დაპირება არა სწამს...

აქეთკენ მოძრაობა შესუსტდა, ყველგან მთავრობისადმი სიტყვიერს მორჩილებას აცხადებენ.

ლაშხეთის საზოგადოებაში-კი (სადადიანო სვანეთი), რომლის ბედ-იღბალი 25 კაცის ხელშია, გამეფებულია ძალ-მომრეობა და სხვის ქონების მითვისება. ესენი თარეშობენ სოფელ-სოფელ შეიარაღებულნი, ზოგს ფულს ართმევენ, ზოგს არაყს, ზოგს რასა და ზოგს რას. სამართალიც მათ ხელშია და ვაი იმას, ვინც მათს გადაწყვეტილებას არ დაემორჩილება. სოფელში, სადაც კი ხეირიანი იარაღი იყო, მათ ჩაიგდეს ხელში და მით მთელს ხალხს თავზარსა სცემენ. ხალხსა სურს მათი აღაგმვა, მაგრამ ვერა გაუბედნია-რა.

სადადეშქელიანო სვანეთში თავადთა და გლეხთა შორის დამოკიდებულება თანდათან მწვავდება. ამ ბოლო დროს ისე გამწვავდა საქმე, რომ მთელი ს. ს. ბეჩო, ეცერ-ცხუმარი გარს შემოჰკვრიან თ. თათარხან დადეშქელიანის სასახლეს. ამ უკანასკნელის სახლში არიან გახიზნულნი თ-ნი ბექირბი და მოსოსტრი დადეშქელიანები შვილებითურთ. თავადებმა შემწეობა სთხოვეს გუბერნატორსა და მაზრის უფროსს, რომელიც იქითკენ უკვე გაემგზავრა. თავადნი, სხვათა შორის, იტყობინებიან, რომ მხოლოდ 20 ამ თვემდის შეგვიძლიან გამაგრებაო. სჩანს, საქმე დიდად გამწვავებულა და სერიოზული ხასიათი მიუღია. თავისუფალს სვანეთში-კი მოძრაობა ჯერ-ჯერობით სკოლების წინააღმდეგ მოქმედებაში-და გამოიხატება (სკოლები ამ ორის თვის წინად დაცალიერდნენ) და, თუ გაძლიერდა, მერე ასე ადვილად აღარ ჩაქრება...

მარტო გორის მაზრელები ვერ დაიკვეხიან „რაზმის" არსებობას. შამშე გელოვანის მკვლელნი გარდახიზნულნი, რიცხვით შვიდი კაცი, მათ-მიერ ჩადენილ საზიზღარ ამბის შემდეგ, იარაღში არიან ჩამჯდარნი და აქამდისინ მხოლოდ თავის მოკრებით-და კმაყოფილდებოდნენ. დღეს, რაკი დაინახეს, რომ ხალხში მღელვარება მიწყნარდაო, სვანეთიდან ლეჩხუმსაც ეწვივნენ, რათა აქაც ეპოვნათ თანამოაზრენი და მით „მორაზმენი" გაეჩინათ, მაგრამ იმედი არ გაუმართლდათ. მცირე რაზმმა ლეჩხუმში რომ ვერა გაწყო რა, გულდამოძღებული ისევ სვანეთს დაუბრუნდა, თუმცა-და ს. ორბელს სროლა აუტეხა. მაზრის უფროსმა ეს იცის, მაგრამ ხმას არ იღებს...

8 ამ თვეს ს. ლენტეხს, მდინარე ხელედურაზე, ორმა ჩაფარმა დააპატიმრა ასათიანი და გელაძე, რომელნიც, ვითომც, მუშებს გაფიცვაზე აქეზებდნენ. ისინი ამჟამად ციხეში არიან.

სტუმარი.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან)

17 ივნისი.

მოსკოვი. ის ხმები, ვითომ საერობო რაზმები უკანვე უნდა გამოიწვიონ ბრძოლის ველიდან საშუალებათა უქონლობისა გამო, ტყუილია. ხსენებულ რაზმების დაბრუნება სამხედრო მოქმედებამ გამოიწვია.

ლონდონი, 16 ივნისი. კრეისერმა „თერგმა" დანიის გემი „პრინცესა მარია" დაღუპა.

ლონდონი. ედუარდ მეფემ პრინც არისუგავას უბოძა დიდი ჯვარი ბანის ორდენისა. იაპონიის ჯავშნოსანს ზღვაში ჩაუშვებს პრინცესსა არისუგავა. ვიკერსისა და მაქსიმ ბარროუს ამხანაგობას, რომელმაც ეს ჯავშნოსანი ააშენა, იაპონიამ დაუკვეთა ერთი უზარმაზარი კრეისერი, 19,000 ტონნა წყალ-რწყვისა; კრეისერი 470 ფუტი სიგრძე ექნება (67—70 საჟენი).

მოჯი. აქამდე რუსები მხოლოდ მცირე წინააღმდეგობას უწევდნენ იაპონელებს ჩრდილოეთ კორეაში და მდინარე ტუმენისაკენ იწევდნენ. რუსები ტუმენის მარჯვენა ნაპირად იმყოფებიან რუსები ორის გზით იწევდნენ უკან.

ტოკიო. ჰგონებენ, შვიდის მილის მანძილზე ვლადივოსტოკის გარშემო წყალში ნაღმებია გაფანტულიო. რუსების კუნძული, ნავთსადგურის შესავალთან მდებარე, კარგად გამაგრებულია. მეციხოვნეთა საერთო რიცხვი 50,000-მდეა. ვლადივოსტოკში სულ 1000 მდე კარგი ზარბაზანი იქნება. ჰფიქრობენ, რუსები მედგარ წინააღმდეგობას გაუწევენ ვლადივოსტოკში იაპონელებსაო. შუბლის ჯარიდან მიღებულ მოხსენების თანახმად, ის ხმა, ვითომც ლინევიჩის ჯარები ცუდს გუნებაზე იყვნენ, ძნელი დასაჯერებელია. ჯარები ისეთს მზადებაშია, რომ, ალბად, ლინევიჩს სურს საბედისწერო ომი აუტეხოს იაპონელებს. ლინევიჩს დიდს დახმარებას უწევს მიშჩენკოს კავალერია. ერთის კორესპონდენტისაგან ნაუწყები ამბავი, ვითომც ლინევიჩი ოთხივ კუთხივ მოემწყვდიოთ იაპონელებს, მთლად მართალი არაა, მაგრამ ის კი ნამდვილია, რომ მთავარ-სარდალი მეტად სახიფათო მდგომარეობაშია

სინგაპური. სანაპირო გემი „აპარიმა" დღეს მოვიდა ნიუ-კასტლიდან და განაცხადა, 14 ივნისს, დილით, კარიმატას სრუტეში კრეისერმა „თერგმა" გამაჩერა და, როცა დარწმუნდა, რომ სინგაპურს მოვდიოდი, გამანთავისუფლაო.

პეტერბურგი. „ნოვოსტის" ცნობა, ვითომც ხარბინში ხოლერა და დიზენტერია იყოს მოდებული, ოფიციალურად არ მტკიცდება. არც ხარბინსა და არც საერთოდ ომის ველზე არც ერთი ხოლერით ავადმყოფი არა ყოფილა, დიზენტერია კი თითო-ოროლას შეჰყრია.

პარიზი. პეტერბურგიდან იუწყებიან, სამშვიდობო მოლაპარაკების შესახებ შეთანხმებულნი. რუსეთისა და იაპონიის წარმომადგენელნი შეიკრიბებიანო.

რიაზანი, 16 ივნისი. რანენბურგის გუბერნიის ზოგიერთს სოფლებში კვლავ მღელვარება დაიწყო. აღელვებულ მხარეს ვიცე-გუბერნატორი წავიდა. სკოპინიდან ჯარის-კაცთა ორი როტა გაიგზავნა.

პეტერბურგი, 16 ივნისი. ქალაქ ოდესასა და ოდესის მაზრაში შემოღებულია ომიანობის დროის წესრიგი.

სევასტოპოლს გაემგზავრა შავის ზღვის ფლოტისა და ნავთსადგურების უფროსი ვიცე-ადმირალი ჩუხნინი.

ბელოსტოკი, 16 ივნისი. ორმოცის წლის აკრძალვის შემდეგ, კათოლიკეებმა დღეს პირველად დიდის ამბით გადაიხადეს ლიტანია დროშებით სამლოცველოდან წმ. როხის სასაფლაოზე. მშვენიერი წესრიგი სუფევდა.

კალიში. ამბობენ, ზდუნის მაზრაში უთანხმოება მოსვლიათ ადგილობრივსა და ლოძიდან მოსულ ებრაელების. მოსულთ უწესოების მოხდენა სდომებიათ. შეტაკების დროს აგიტატორებისათვის უცემიათ.

რიგა. ვენდენის მაზრაში კაზაკების რაზმს ტყიდან თოფის სროლა დაუწყეს. დამნაშავენი მიიმალნენ.

ცეხანოვი, 15 ივნისი. გუშინ სოფელ ვეკონეში გლეხებმა მიწის მზომელი საზღვრის გასამიჯნად არ მიუშვეს.

არდატოვი. მაზრაში აგრარული მოძრაობა დაიწყო. კაზაკები გაიგზავნა

მოსკოვი. მოსკოვის საბჭომ საერო წარმომადგენლობის პროექტი შეიტანა, რომ ქალებსაც უნდა მიენიჭოთ საარჩევნო უფლება. სათადარიგო ჯარის მოგროვება დაიწყეს. სიმშვიდეა.

დმიტროვსკი. სათადარიგო ჯარის კაცების ნაწილი შეაგროვეს. სასმელების დუქნები არ დაუკეტიათ.

კიევი. სათადარიგო ჯარის კაცების მოგროვება დაიწყეს. პირველ დღემ მშვიდობიანად ჩაიარა.

კოვნა, 16 ივნისი. გუშინ ძმ. შმიდტის ლითონის ფაბრიკაში 1000 მუშა ისევ გაიფიცა.

გუბერნატორმა გუშინ განკარგულება მოახდინა, შეიკრიბოს ქალაქის საბჭო საგანგებო სხდომისათვის და განიხილოს მოთხოვნილებანი გაფიცულ უსაქმობისა. ქალაქში ერთი ცეცხლი ხორცი არსად მოიპოვება. გაფიცულნი კმუქრებიან, ვინც გაჰბედავს ქალაქში ხორცის შემოიტანს. ადგილობრივი ნუზლ-სანოვაგე მამასისხლად იყიდება.

ოდესა. გამოცხადდა გრადონაჩალნიკის მეორე მოწოდება: „მშვიდობის გამო ოდესის მცხოვრებთ დაბეჯითებითა ვსთხოვ, ნუ შეიკრიბებიან ქუჩებში და ნურც ხალხის ჯგუფებს შეუერთდებიან, რათა თავიდან აიცილონ უბედური შემთხვევანი ჯარის სროლის დროს. ნეიდგარდტი".

სტამბოლი. ამ დღეებში უცხოელთა რაზმებმა ზოგი ადგილები დაიჭირეს იმ ოლქებში, სადაც ბანაკობენ. რუსეთისა და ინგლისის სარდლებმა გამოაცხადეს, რომ კრეტოსის ჟანდარმერიას ისეთივე უფლება აქვს, როგორც უცხოელების ჯარს, და მის წინააღმდეგ მოქმედებას შესაფერი შედეგი მოჰყვებაო — მინისტრთა საგანგებო კრებაზე ბჭობა ჰქონდათ მაკედონიის საფინანსო რეფორმების შესახებ, დიდ სახელმწიფოთა მოთხოვნილების თანხმად.

დროებითი რედაქტორი ფ. **გოგიჩაიშვილი.**
გამომცემელი **თ. პავლე ი. თუმანიშვილი.**

განცხადებანი

ხუთი ახალი წიგნი

წიგნის მაღაზია „ცოდნა"-ს გამოცემა

სამშობლოსათვის თავდადებულნი	. 40 კ.
რუსეთის დამყარება საქართველოში	. 20
ათი მოთხრობა ივ. მაჭავარიანისა	. 20
ხალხური ვეფხის ტყაოსანი	. . . 10
იაპონია. ნ. ნიკოლაძისა	 20

დარბაზის კედლებად მოსართავი სურათები: შოთა რუსთველისა, დიდი 50 კ., აკაკისა 40 კ., ილია ჭავჭავაძისა 40 კ., რაფიელ ერისთავისა 40 კ., ნ. ბარათაშვილისა 50 კ., გიორგი წერეთლისა 30 კ., ეგნატე ნინოშვილისა 30 კ., ჯგუფი ქართველ მწერალთა 75 კ., ჯგუფი თამარ. ვეფხის ტყაოსნის მირთმევა 40 კ., საქართველოს დიდება 1 მ. 20 კ., თამარ მეფის დიდი სურათი 1 მ. 50 კაპ. და პატარა 6 კაპ.

და სხვა ყოველგვარი წიგნები.

მისამართი: ტფილისი, წიგნის მაღაზია **„ცოდნა".**
სოსიკო მერკვილაძე. (20—5)

საჭირო და ყოველთვის სახმარებელი

უცხო სიტყვათა ლექსიკონი,

შედგ. ი. იმედაშვილის-მიერ. ფ. უყდოთ 1 მ. ყდით 1—50.
Тифл., книжн. торг. Іос. Зах. Имедашвили.

НЕСТЛЕ
Дѣтская молочная мука
Сгущенное МОЛОКО НЕСТЛЕ.

Дозволено цензурою, Тифлис, 18 іюня 1905 г.
ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა", ფრეილინის ქ., № 5.